პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ხუთშაბათი,
21
თებერვალი
1935 წ.
№ 45 (4101)

„საკოლმეურნეო გზა, სოციალიზმის გზა, ერთადერთი სწორი გზაა მშრომელი გლეხობისათვის. არტელის წევრები ვალდებულებას კისრულობენ განამტკიცონ თავისი არტელი, პატიოსნად იშრომონ, საკოლმეურნეო შემოსავალი გაყონ შრომის მიხედვით, დაიცვან საზოგადოებრივი საკუთრება, გაუფრთხილდენ საკოლმეურნეო დოვლათს".

(სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდებიდან).

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის შედეგთა დამუშავებისა და კოლმეურნეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების მიღების შესახებ

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება).

1. დაევალოს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს ჩაატარონ დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის შედეგების ფართო დამუშავება კოლმეურნეებსა და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხებს შორის.

2. ამ მუშავების უკეთ ჩატარებისათვის წინადადება მიეცეთ რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს მიავლინონ თვითეულ რაიონში ხელმძღვანელი მუშაკები (ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, სახალხო კომისრები, სახალხო კომისრების მოადგილეები და სხვ.) და დაავალონ მათ პარტიის რაიონულ კომიტეტებთან ერთად შეარჩიონ კვალიფიციური რაიონული მუშაკები, რომლებთანაც ზედმიწევნით დაამუშაონ ამხ. იაკოვლევის მოხსენება და სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, მისცენ მათ ინსტრუქციები და გაგზავნონ სოფლებსა და კოლმეურნეობებში მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე.

3. პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ მიმაგრებული სოფლის ორგანიზაციებთან ერთად (სოფლის საბჭო, პარტორგანიზაცია, კოლმეურნეობის გამგეობა) იწვევენ კოლმეურნეობათა საერთო კრებებს მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა მონაწილეობით, რომლებზედაც კეთდება ინფორმაცია დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის მუშაობის შედეგთა შესახებ, წაკითხული და განმარტებული იქნება სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, მიღებული დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის მიერ და დამტკიცებული საკ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის და სსრ კ-ის სახკომსაბჭოს მიერ.

4. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ, რათა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებასთან შეფარდებით ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელებმა სამი თვის ვადაში სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების საფუძველზე:

ა) გამოიმუშაონ თავიანთი არტელების წესდებანი;

ბ) განიხილონ ისინი არტელების წევრთა საერთო კრებებზე, რომელთაც უნდა ესწრებოდეს წევრთა არა ნაკლებ ორი მესამედისა;

გ) მოახდინონ არტელების წესდებათა რეგისტრაცია რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებში.

წინადადება მიეცეს რესპუბლიკების მიწსახკომებს, რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებთან და სახკომსაბჭოებთან შეთანხმებით, დაუყოვნებლივ მისცენ რაიონებს სანიმუშო წესდებიდან გამომდინარე დამატებითი მითითებანი.

5. სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება გამოიცეს **800 ათასი ეგზემპლიარის** რაოდენობით ქართულ, თურქულ, სომხურ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, ტალიშურ, ტატურ, ბერძნულ და სხვა ენებზე, იმ ანგარიშით, რომ მით ფართოდ იქნან მომარაგებული კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები (აზერბეიჯანის ც. კ-მა გამოსცეს 250 ათასი ეგზემპლიარი, საქართველოს ც. კ-მა — 250 ათასი ეგზემპლიარი და სომხეთის ც. კ-მა — 150 ათასი ეგზემპლიარი; გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ" რუსულ ენაზე — 30 ათასი ეგზემპლიარი; ა-კ. სახელგამმა გერმანულ ენაზე — 10 ათასი ეგზემპლიარი და ბერძნულ ენაზე — 10 ათასი ეგზემპლარი) რესპუბლიკათა სახელგამებმა, გარდა ამისა, გამოსცენ ტირაჟით 15-დან 30 ათასამდე ამხ. იაკოვლევის მოხსენება წესდებასთან ერთად ეროვნულ ენებზე. რესპუბლიკების მიწსახკომებმა გამოსცენ სასოფლო სამეურნეო არტელის წესდება კოლმეურნეობათა კრებებზე წესდების მიღების დროს შესავსებად შესაფერი ფორმით და საჭირო ტირაჟით (**25—30 ათასი**) ეროვნულ ენებზე. გამოცემა ჩატარდეს ათი დღის ვადაში. დაევალოს ა-კ. სამხარეო კომიტეტის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებას გამოძებნოს ქაღალდის საჭირო რაოდენობა წესდების გამოსაცემად.

დაევალოს რესპუბლიკათა ც. კ-ის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებს და პარტიის რაიკომებს უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ წესდების გავრცელებას, რათა უზრუნველყონ წესდების დაყვანა კოლმეურნეებამდე.

6. დაევალოს რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგების დამუშავებისას ფართო პოპულარიზაცია გაუკეთონ ყრილობის და მთავრობის დადგენილებას 1937 წელში საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ. დაევალოს ა-კ. სახკომსაბჭოს, რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს და სახკომსაბჭოებს — ერთი თვის ვადაში დაამუშაონ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების მომზადების და მონაწილეობის ორგანიზაციულ - სამეურნეო გეგმა (რაიონული და რესპუბლიკური გამოფენების მოწყობა, ექსპონატების ნომენკლატურა საკავშირო გამოფენაზე წარსადგენად, დავალებათა დამუშავება და სხვ.).

7. დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობის შედეგების დამუშავება და კოლმეურნეობათა მიერ ახალი წესდების მიღება დაუკავშირდეს მუშაობას საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის წარმატებით შესასრულებლად (თესლის შემოწმება, საკოლმეურნეო სას.-სამეურნეო ინვენტარის რემონტი, მუშა-პირუტყვის მომზადება, სადრიო ხვნა, საწარმოო გეგმების, შემოსავალ - გასავლის ხარჯთაღრიცხვების შედგენა, ბრიგადების ორგანიზაცია და სხვ.).

8. დაევალოს სამხარეო და რესპუბლიკურ გაზეთებს ფართოდ გააშუქონ პრესაში კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის ყრილობის შედეგების დამუშავების მსვლელობა, კოლმეურნეობათა მიერ ახალი წესდების მიღება, კოლმეურნეობათა ზრდა და განმტკიცება, აგრეთვე საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესრულების მსვლელობა.

განიარაღების კონფერენციაზე

საბჭოთა პროექტის განხილვა

ჟენევა, 18 თებერვალი. დღეს ხელკიული ბურკების თავმჯდომარეობით დაიწყო განიარაღების კონფერენციასთან შექმნილ საერთო დასკვნების კომისიის სხდომა. პირველი ირჩეოდა საბჭოთა წინადადება, რომელიც გულისხმობს განიარაღების კონფერენციის გადაქცევას მშვიდობიანობის მუდმივ კონფერენციად.

სიტყვაზე განცხადებით გამოვიდა საბჭოთა დელეგატი ამხ. **შტეინი,** რომელმაც მოაგონა დამსწრეთ, რომ წინადადება — შეიარაღების შემცირების და შეზღუდვის კონფერენციის მშვიდობიანობის მუდმივ კონფერენციად გადაქცევის შესახებ, როგორც 1934 წლის 4 ივნისს საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილ იქნა განიარაღების კონფერენციის გენერალურ კომისიაში ამ უკანასკნელის დადგენილებით და მთავრობებს შესასწავლად.

„20 ნოემბერს,—განაცხადა ამხ. შტეინმა,—კონფერენციის ბიუროს სხდომაზე გადაწყვეტილ იქნა გადაწყვეტილება მიენდოს ამ კომისიას საბჭოთა დელეგაციის წინადადების შესწავლა. მე არა მაქვს განზრახვა,—აღნიშნა ამხ. შტეინმა,—დავუბრუნდე ჩვენი წინადადების დასაბუთებას. რამდენადაც ჩვენი პირველი დელეგატის ლიტვინოვის 4 ივნისის სიტყვაში ის დასაბუთება მოცემული იყო ამომწურავად, ... მე ნებას მივცემ ჩემს თავს მხოლოდ აღვნიშნო, რომ მოტივი, რომელმაც აიძულა საბჭოთა დელეგაცია შეეტანა აღნიშნული წინადადება, არ შეცვლილა და ამბები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა განვლილ პერიოდში, მხოლოდ ადიდებენ იმ არგუმენტების ძალას, რომლებიც განმარტა საბჭოთა დელეგაციამ გენერალურ კომისიაში. ამგვარად დღეს, დელეგაციას არავითარი საფუძველი არ აქვს ხელი აიღოს თავისი წინადადებაზე და მთლიანად უჭერს მხარს მას".

შემდეგ გამოვიდნენ საფრანგეთის დელეგატი **ობერი** და რუმინეთის დელეგატი **ანტონიადი.** მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა წინადადებას, რომელიც წარმოადგენს საგრძნობ განძს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში და მიუთითეს, რომ ზოგიერთი სხვა ცნობების უქონლობის გამო მიზანშეწონილია რამდენიმე ხნით გადაიდოს დისკუსია ამ საკითხის გამო. თურქეთის დელეგატმა **ჯემალ ხუსნიმ** განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადების დაუყოვნებლივ განხილვის მთელი სასურველობის და სარგებლობის მიუხედავად, მთავრობათა უმრავლესობამ არ გამოსთქვა თავისი აზრი ამ წინადადების არსების შესახებ.

შემდეგ სიტყვა ხელმეორედ აიღო ამხ. **შტეინმა,** რომელმაც განაცხადა, რომ მას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ კომისიამ ახლანდელ მომენტში რამდენიმე ხნით გადასდოს დისკუსია საბჭოთა წინადადების გარშემო და ჯერჯერობით შეუდგეს სხვა საქმეების განხილვას. მაგრამ საჭიროა დაისვას შემდეგი კითხვა: თუ ამჟამად არ მოიპოვება საკმაოდ ცნობები საბჭოთა წინადადების განსახილველად, ხომ არ აღმოჩნდება კომისია ასეთივე მდგომარეობაში რამდენიმე დღის შემდეგ და რამდენიმე კვირის შემდეგაც კი?

ბურკების საბოლოო სიტყვის შემდეგ კომისიამ დაადგინა გადავიდეს ამერიკის პროექტის განხილვაზე, რომელიც გულისხმობს განიარაღების მუდმივი კომისიის შექმნას (ადს).

განიარაღების ამერიკული პროექტის განხილვა

ჟენევა, 19 თებერვალი. დღეს იარაღის წარმოების და ვაჭრობის რეგლამენტაციის და კონტროლის კომისია შეუდგა ამერიკის პროექტის პირველი სამი თავის „წინასწარ კითხვას". ამ პროექტის პირველი თავი აწესებს იმ იარაღის კატეგორიებს, რომლის წარმოება და ვაჭრობა უნდა დაექვემდებაროს კონტროლს.

ამერიკის პროექტის პირველი თავის განხილვის პროცესში გამოვიდა საბჭოთა დელეგატი ამხ. **ვენცოვი,** რომელმაც საბჭოთა დელეგაციის სახელით მოითხოვა იმ შეიარაღებათა სია, რომლებიც რეგლამენტირებული უნდა იქნან, დაემატოს ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც გამოსადეგია მხოლოდამხოლოდ ქიმიური ომისათვის, სპეციალური ხელსაწყოები და ყუმბარები, რომლებსაც იყენებენ აღნიშნულ ნივთიერებათათვის, აგრეთვე საომარი ხასიათის ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ძირითადი მასალები, რომლებიც მათ წარმოებას ხმარდება. „განუწყვეტლივ ხდება, — განაცხადა დასასრულ ამხ. ვენცოვმა, — ახალი სახის და ტიპის შეიარაღების გამოგონება. ამიტომ საჭიროა იმ ორგანოს, რომელმაც ეს კონვენცია უნდა განახორციელოს, მიეცეს უფლება საჭიროების მიხედვით შეავსოს ეს სიები" (ადს).

* * *

სამხრეთ-სლავიის პრესა საბჭოთა მოჭადრაკეების შესახებ

ვენა, 18 თებერვალი. სამხრეთ-სლავიის გაზეთები ბეჭდავენ მოსკოვის საჭადრაკო ტურნირის დაწვრილებით ანგარიშებს. გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა მოჭადრაკეების წარმატებებს. კერძოდ იმას, რომ რიუმინმა მოუგო კაპაბლანკას და ბოტვინიკმა შპილმანს, აგრეთვე კაპაბლანკას ერთსა და იმავე დროს თამაშის სეანსების შედეგებს, და წერენ, რომ **საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამტკიცეს, რომ ისინი არიან საუკეთესო მოჭადრაკენი მსოფლიოში** (ადს).

* * *

საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება

საარის ოლქის შესახებ

პარიზი, 19 თებერვალი. ჰავასის სააგენტო რომიდან იუწყება, რომ დღეს ნეაპოლში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთმა გერმანიას გადასცა თავისი უფლებები საარის რკინიგზებზე და სხვა ქონებაზე. შეთანხმებაში აგრეთვე გათვალისწინებულია სოციალური დაზღვევის დროებითი რეჟიმი, სადაზღვევო კომპანიების ფრანგი მფლობელთა უფლებები და ოლქის მართვა-გამგეობის გადაცემა გერმანიისათვის (ადს).

გერმანიის საბაჟო საარის საზღვარზე

ბერლინი, 18 თებერვალი. 17 თებერვალს ღამით გერმანიის საბაჟო უწყების წარმომადგენლები შეუდგნენ თავისი მოვალეობის შესრულებას საარის ოლქის და საფრანგეთის საზღვარზე. საფრანგეთის საბაჟო საარიდან გადატანილია საზღვრის მეორე მხარეს (ადს).

—o—

500 კილომეტრი საათში სვლით მფრინავზე.

რომი, 19 თებერვალი. იტალიის მფრინავებმა ბედენდომ და სკანი-რომ მიაღწიეს. მსუბუქი თვითმფრინავით ფრენის სარეკორდო სიჩქარეს — 500 კილომეტრი საათში.

„საბჭოთა კავშირი თავს იცავს"

პიერ კოტი საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების შესახებ.

პარიზი, 19 თებერვალი. დეპუტატმა და ავიაციის ყოფილმა მინისტრმა პიერ კოტმა გაზეთ „ევრო"-ში მოათავსა წერილი საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის და საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების შესახებ.

„საფრანგეთს, — წერს იგი, — არ შეიძლება არ აინტერესებდეს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების განვითარება. ორი წლის განმავლობაში საფრანგეთ საბჭოთა კავშირის დაახლოება გადაიქცა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად. **პარიზი და მოსკოვი ერთნაირად არიან დაინტერესებული მშვიდობიანობის დაცვით, რომელსაც ემუქრებიან როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, თავაშვებული ნაციონალიზმის მომხრეები".** მოჰყავს რა ამონაწერები ამხ. **ტუხაჩევსკის** სიტყვიდან. პიერ კოტი წერს, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერების ზრდა სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირს სურს ომი. **„საბჭოთა კავშირი თავს იცავს.** და მის საუკეთესო თავდაცვას წარმოადგენს მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც იგი აწარმოებს ევროპაში და მთელს მსოფლიოში. ეს პოლიტიკა სავსებით შეეთანხმება მის მისწრაფებას თავდაცვისაკენ და საერთაშორისო რეალობის მწვავე გრძნობას... ეს ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიაც არ არის უმუშევრობა და სადაც მოსახლეობა და სამრეწველო პროდუქცია განუწყვეტლივ დიდდება. სრულიად ნორმალურია, რომ ამ მშენებლობის პროცესში მყოფ ქვეყანაში თავდაცვის საქმე ვითარდება სწორედ ისე, როგორც ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა". პიერ კოტი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის არმიას შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს წითელი არმიისაგან (ადს).

* * *

ინგლის-საფრანგეთის თათბირები

პარიზი, 19 თებერვალი. გუშინ ლონდონში დაიწყო ინგლის-საფრანგეთის თათბირები გერმანიის ნოტის გამო. თათბირი დაიწყო იმით, რომ საფრანგეთის ელჩი სადარბაზოდ ეწვია საიმონს. თათბირების მიზანია — შეიმუშაონ ინგლის-საფრანგეთის საერთო პასუხი გერმანიის ნოტაზე (ადს).

ლავალი ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკებების შესახებ

პარიზი. 19 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც დღეს შესდგა, გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი **ლავალი.** მან დაახასიათა ის დიპლომატიური მოლაპარაკება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.

ლავალმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა იზიარებს მჭიდრო კავშირს ინგლისის მთავრობასთან და რომ აზრთა-გაცვლა-გამოცვლა პარიზსა და ლონდონს შორის ხდება ნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობის საფუძველზე. მაგრამ არა გვაქვს საფუძველი ველოდოთ ამბების სწრაფად განვითარებას. გერმანიის საპასუხო ნოტა მოითხოვს ყურადღებით შესწავლას და დაუშვებელია იმ პასუხის აჩქარებით შედგენა, რომელიც საფრანგეთმა და ინგლისმა ერთად მისცენ ბერლინს" (ადს).

—o—

ციკლონი გერმანიაში

ბერლინი, 19 თებერვალი. გუშინ გერმანიაზე გადაიარა 10—12 ბალის ციკლონმა.

დარმშტადტში უნდა დაწყებულიყო სრულიად გერმანიის შეჯიბრება აეროსტატების პილოტობაზე. გრიგალმა გაიტაცა 4 აეროსტატი. მოიერიშეთა რაზმი ცდილობდა დახმარებოდა აეროსტატების შენარჩუნებას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ქარიშხალმა გაიტაცა კიდევ სამი აეროსტატი. ამასთან მოკლულ იქნა ერთი მოიერიშე და რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა.

ჰამბურგში შეწყდა მთელი საზღვაო მიმოსვლა. დიდი საოკეანო გემებიც კი გაჩერებული არიან ნავთსადგურებში. მდინარე მოზელი, ტრირის მახლობლად, გადმოვიდა ნაპირებიდან. მახლობელ სოფელში გრიგალმა ბევრ სახლს მოგლიჯა სახურავები. უსახლკაროდ დარჩა დაახლოებით 200 კაცი. არის ადამიანთა მსხვერპლი (ადს).

ქარბუქი სკანდინავიის ქვეყნებში

სტოკჰოლმი, 19 თებერვალი. გუშინ სკანდინავიის ქვეყნებში ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარბუქს. შეწყდა სარკინიგზო, საავტობუსო და სანაოსნო მიმოსვლა (ადს).

ვ. ს. მიცკევიჩ-კაპსუკასის დაკრძალვა

მოსკოვი, 20 თებერვალი. 17 თებერვალს კუბო განსვენებულ ვ. ს. მიცკევიჩ-კაპსუკასის ცხედრით დადგმულ იქნა საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზში.

კუბოს ჩაუარეს დედაქალაქის პროლეტართა მრავალრიცხოვანმა დელეგაციებმა. საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ განსვენებულის მეგობრები და თანამებრძოლები.

19 თებერვალს საპატიო ყარაულში იდგნენ საბჭოთა ბელორუსიიდან მოსკოვში ჩამოსული სპეციალური დელეგაციის წევრები.

19 თებერვალს, 17 საათზე, ამხ. **დიმიტროვი, პიატნიცკი, კნორინი, კუუსინენი, ლოზოვსკი** და სხვ. კუბოს კატაფალკზე დგამენ.

კრემატორიუმში შესდგა სამგლოვიარო მიტინგი კომინტერნის აღმასკომის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კნორინმა.**

ლიტვის კომუნისტური პარტიის ც. კ-ის სახელით გამოვიდა ამხ. **ანგარეტისი,** გერმანიის კომუნისტური პარტიის სახელით — ამხ. **რიხტერი.** პოლონეთის კომ. პარტიის ც. კ-საგან — ამხ. **ბრონკოვსკი,** პროფინტერნისაგან — ამხ. **გეკერტი.** ბელორუსიის კ. პ. (ბ) ც. კ-ის, ცაკის და სახკომსაბჭოს სახელით — ამხ. **ამბროსენახი,** მოპრის აღმასკომის სახელით — ამხ. **პიასეცკი,** პოლიტკატორღელთა საკავშირო საზოგადოების სახელით — ამხ. **კრამაროვი** (ადს).

ეპოქის უდიდესი დოკუმენტი—მასებში

ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ საკ. კ.პ.(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებას დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის შედეგების დამუშავებისა და კოლმეურნეთა მიერ სასოფლო სამეურნეო არტელის ახალი წესდების მიღების შესახებ.

უდიდესი სიხარულით, ახალი საწარმოო ენტუზიაზმით და ინიციატივის ყოველმხრივ გაძლიერებით შეხვდებიან **სასოფლო - სამეურნეო არტელის ამ ახალ სანიმუშო წესდებას** კოლმეურნეობათა მილიონიანი მასები. ეს წესდება როგორც სამართლიანად წერს **„პრავდა"** — „წარმოადგენს საკოლმეურნეო ცხოვრების, ჯერ კიდევ მსოფლიოში არსად ნახულ კულტურული და შეძლებული ცხოვრების სწორად მოწყობის კანონს".

ამ წესდებას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდებიან აგრეთვე ერთპიროვნულ მშრომელ გლეხთა მასებიც, ეს ხვალინდელი კოლმეურნეები, რომლებიც, მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, შედიან კოლმეურნეობებში. ამას მოწმობს ის ცნობები, რომლებიც მოდის ადგილებიდან საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდის გაძლიერების შესახებ. ამას მოწმობს პატიოსნად მშრომელი ერთპიროვნულ მეურნეთა გაძლიერებული მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოს 28 რაიონში, საიდანაც ჯერჯერობით ცნობებია მიღებული, იანვრის ბოლო რიცხვებიდან 15 თებერვალამდე მოეწყო 60-ზე მეტი ახალი სასოფლო - სამეურნეო არტელი და კოლმეურნეობებს შეემატა 5000-მდე ახალი წევრი.

კოლმეურნეობებში ღარიბი და საშუალო გლეხების შესვლა გაძლიერდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაზეთებში გამოქვეყნდა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის მასალები. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი წესდება, რომელიც შემუშავებული განხილული და დამტკიცებულია ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით, ზედმიწევნით ზუსტად ითვალისწინებს უზარმაზარი საბჭოეთის სხვადასხვა რაიონების თავისებურებას, სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნებას. ახალი წესდება ზედმიწევნით სწორად ათავსებს ერთმანეთთან კოლმეურნეობის განსაზოგადოებული ნაკვეთებისა და ცალკე კოლმეურნეთა საკარმიდამო ადგილების დამუშავების შესაძლებლობას. კოლმეურნეობის ახალ წესდებაში ნათლად მოსჩანს უდიდესი ზრუნვა თვითეული კოლმეურნის პირადი ინტერესების და საჭიროებისათვის.

რაში მდგომარეობს ადგილობრივი პარტორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანა ამჟამად, როდესაც კოლმეურნეობის ახალი წესდება მიღებული და გამოქვეყნებულია? მთავარი ამოცანა ამჟამად, როგორც ეს საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **ჩერნოვმა** განაცხადა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე — „ის არის, რომ **დამკვრელურად მოვაწყოთ თითეული კოლმეურნეობის მთელი ცხოვრება ამ წესდების მიხედვით".** ეს კი მეტისმეტად საპასუხისმგებლო და სერიოზული საქმეა.

იმისათვის, რომ ნამდვილად მოვაწყოთ კოლმეურნეობათა ცხოვრება სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების მიხედვით, უპირველესად ყოვლისა საჭიროა **ამ წესდების საფუძვლიანად დამუშავება - შესწავლა.** სოფლის პარტორგანიზაციების, პარტიის თითოეული წევრის და სოფლის ყველა მუშაკის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ღრმად შეისწავლონ კოლმეურნეობის ახალი წესდება და ამომწურავად გააცნონ იგი კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მასებს. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდება შედგენილია უაღრესად პოპულარული, მარტივი, კოლმეურნეთა ფართო მასებისათვის გასაგები ენით.

სამხარეო კომიტეტის დადგენილებით, ყველა რაიონში უნდა ჩატარდეს კოლმეურნეთა გაერთიანებული კრებები მშრომელ ერთპიროვნული გლეხების მონაწილეობით. ამ კრებებზე დაწვრილებით უნდა დამუშავდეს (წაკითხვით, განმარტებებით) როგორც ამხ. **იაკოვლევის** მოხსენება, ისე სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება. ამ კრებების ხელმძღვანელობად ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა მობილიზაცია უნდა უყონ რაიონის კვალიფიციურ მუშაკებს, რომლებიც შეძლებენ სანიმუშო წესდების სწორად განმარტებას.

კოლმეურნეთა მასებმა უნდა იცოდნენ ის მოვალეობანი და ღონისძიებანი, რომლებსაც ითვალისწინებს სასოფლო სამეურნეო არტელის ახალი წესდება მოსავლიანობის გადიდების, საკოლმეურნეო დოვლათის დაცვის, მიწათსარგებლობის, კოლმეურნეობის საქმეთა მმართველობის, საკარმიდამო ნაკვეთების მოწყობის, შრომის მოწესრიგების, მეცხოველეობის განვითარების, საკოლმეურნეო ფონდების ორგანიზაციის, ქალთა შრომის გამოყენების და სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

საქართველოს პარტორგანიზაციების **განსაკუთრებული** ყურადღება უნდა მიექცეს ახალი წესდების იმ პუნქტების დამუშავებას, სწორად გაგებასა და გატარებას, რომელიც შეეხება საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციას **ტექნიკური კულტურების ჩაის, თამბაქოს** და აგრეთვე **პროდუქტიული მეცხოველეობის რაიონებში.**

ცხადია სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი წესდების დამუშავება გამოიწვევს მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა კოლმეურნეობებში შესვლის კიდევ უფრო გაძლიერებას, როგორც ახალი კოლმეურნეობების მოწყობას, ისე ძველი კოლმეურნეობების გაზრდას. ეს აყენებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამოცანას ყოველმხრივ **გააძლიერონ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე, გაშალონ ფართო მუშაობა კოლმეურნეობებში ახალ წევრთა მიღების პრაქტიკულ საკითხების განმარტებისათვის, უზრუნველყონ იმ ერთპიროვნულ მეურნეთა განცხადებების დროზე განხილვა, რომლებიც კოლმეურნეობებში შესვლას ითხოვენ და რაც მთავარია ყოველმხრივ გააუმჯობესონ საკოლმეურნეო კრებების მუშაობა, ასწიონ მათი როლი.**

სასოფლო სამეურნეო არტელის ახალი წესდება გამოქვეყნდა მასობრივი ხვნის დაწყების წინ. თანახმად სამხარეო კომიტეტის დადგენილებისა, ჩვენი ვალია **ამ წესდების განხილვა - დამუშავება მჭიდროთ დაუკავშიროთ თესვისათვის სანიმუშოდ მომზადებას. ჩვენი ვალია** სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი წესდება, — ეპოქის ეს უდიდესი დოკუმენტი, — ბოლშევიკურად გამოვიყენოთ სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომი განმტკიცების, მიმდინარე წელს სარეკორდო მოსავლის მიღების, ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურად და ყველა კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის დაჩქარებისათვის.

კოლმეურნეები თავისი კოლექტივის ბატონ-პატრონები არიან

„პრავდის" მოწინავე 20/II

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობის დელეგატები თავის კოლმეურნეობებში ბრუნდებიან. იქ მათ მოუთმენლად მოელიან. მთელი კოლმეურნე გლეხობა ამ დღეებში ყრილობით ცხოვრობდა — კოლმეურნეებს სურთ რაც შეიძლება მალე შეხვდნენ ამ საყოველთაო - სახალხო კრების უშუალო მონაწილეებს. თვითეული დელეგატის წინაშე საპატიო და პასუხსაგები ამოცანა დგას: არა მარტო უამბოს, რაც ყრილობაზე იყო, არა მარტო განმარტოს სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი წესდება, არამედ აგრეთვე დარაზმოს კოლმეურნეები თესვის წარმატებისათვის, მაღალი მოსავლისათვის საბრძოლველად.

დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად - საკავშირო ყრილობის დელეგატი — ეს საპატიო სახელწოდებაა. ყველა კოლმეურნე თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ მუშაობს მათი დელეგატი, როგორ ეხმარება იგი კოლმეურნეობას — უფრო ჩქარა მიაღწიოს შეძლებულ ცხოვრებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ კოლმეურნეთა უფრო მეტი აქტივი დარაზმონ, გაშალონ შეჯიბრება და ღირსეულად შეხვდნენ საგაზაფხულო თესვას. გზა ნათელია.

სასოფლო-სამეურნეო არტელი — ეს არის გლეხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება იმისათვის, რომ საერთო საწარმოო საშუალებებით და საერთო ორგანიზებული შრომით შექმნან კოლექტიური, ე. ი. საზოგადოებრივი მეურნეობა. „საკოლმეურნეო გზა — სოციალიზმის გზა, — ნათქვამია სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ სანიმუშო წესდებაში, — არის ერთადერთი სწორი გზა მშრომელი გლეხობისათვის. არტელის წევრები კისრულობენ ვალდებულებას განამტკიცონ თავისი არტელი, პატიოსნად იშრომონ, საკოლმეურნეო შემოსავალი შრომის მიხედვით გაანაწილონ, დაიცვან საზოგადოებრივი საკუთრება, გაუფრთხილდნენ საკოლმეურნეო დოვლათს, გაუფრთხილდნენ ტრაქტორებსა და მანქანებს, კარგად მოუარონ ცხენს, შეასრულონ თავისი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დავალებანი და ამგვარად გადააქციონ თავისი კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო ყველა კოლმეურნე - შეძლებულად". სასოფლო - სამეურნეო არტელის მთელი ახალი წესდება, მისი თვითეული სტრიქონი გამსჭვალულია მეურნეობრივი ზრუნვით კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის. კოლმეურნეებს, რომლებიც ამ წესდებას ღებულობენ, მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არიან თავიანთი კოლმეურნეობის ბატონ-პატრონები. ისინი განაგებენ საწარმოო საშუალებებს და ფულს, ისინი პასუხისმგებელნი არიან ზარალისათვის, მათზე არის დამოკიდებული მოსავალი, შემოსავლიანობა, შეძლებული ცხოვრება. ძველისაკენ დაბრუნება უკვე მოუძლებელია. თვითეული კოლმეურნის, მისი ბავშვების მომავალი დაკავშირებულია მხოლოდ კოლმეურნეობასთან. აქ არის აყვავების ძირითადი წყარო. კოლმეურნეობა ერთადერთი და ყველაზე საიმედო გზაა პროდუქტების სიუხვისა და კულტურისაკენ. ერთიანდებიან რა სასოფლო - სამეურნეო არტელში, გლეხები ხდებიან ახალი სასიხარულო ცხოვრების მებრძოლები, თვალუწვდენი მინდვრების ნამდვილი ბატონ-პატრონები.

თვითეული კოლმეურნეობა უნდა იცნობდეს თავის უფლებებს და მოვალეობებს. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, მოითხოვს რა კოლმეურნისაგან პატიოსან შრომას, ამავე დროს მთლიანად იცავს კოლმეურნის უფლებებს და ადიდებს კოლმეურნეთა საერთო კრების როლს, რომელიც (საერთო კრება) უნდა იყოს ნამდვილი ბატონ-პატრონი კოლმეურნეობაში. არც ერთი დიდი საკითხი ახლა არ შეიძლება გადაწყდეს საერთო კრების გარეშე. ყველა კოლმეურნე, როგორც ერთი კაცი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კოლმეურნეობის მართვა-გამგეობაში.

ეს კი ხშირად ავიწყდებათ. ბევრ კოლმეურნეობაში საერთო კრებებს ძალიან იშვიათად იწვევენ. ზოგჯერ სრულიადაც არ იწვევენ. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ავიწყდებათ პასუხისმგებლობა საერთო კრების წინაშე და ისინი ადმინისტრირებას იწყებენ, კოლმეურნეთა საჩივრები და განცხადებანი ხშირად არ ირჩევა. კოლმეურნეობათა გამგეობანი, კოლმეურნეთა უკითხავად, სწყვეტენ დიდ საკითხებს და კოლმეურნეებს მომხდარი ფაქტის წინაშე აყენებენ. ხდება აგრეთვე, რომ კოლმეურნეებმა არ იციან, როგორ მიდის საქმეები არტელში, რა დავალიანებაა, რის შენებაა განზრახული, რაზე იხარჯება კოლმეურნეობის ფული და სხვ. ბოლოს, კოლმეურნეობათა გამგეობანი ბოროტად იყენებენ თავის უფლებებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, როგორიცაა არის ახალი წევრების მიღება კოლმეურნეობაში და კოლმეურნეობებიდან გამორიცხვა. ასეთ მდგომარეობაში არ არსებობს კონტროლი, იხშობა რიგითი კოლმეურნეების ინიციატივა, აი, მაგალითად, რას ატყობინებენ „პრავდას" ჩრდილოეთის მხარის ტოტემსკის რაიონიდან. დავიდოვოს კოლმეურნეობაში კოლმეურნეებს არ ახსოვთ, თუ როდის იყო საერთო კრება.

ყველა საქმეს განაგებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზვეროვი, რომელიც არასოდეს არ ეთათბირება კოლმეურნეებს და რომელსაც არ სურს ვისმეს ანგარიში ჩააბაროს. არტელში უთაურობაა, თვითკრიტიკა ჩახშულია.

მეორე მაგალითი. კოლმეურნეობა „ნოვი პუტ'ი" (კოლჩუგინის რაიონი, ივანოვოს ოლქი) თავმჯდომარე პეტროვმა გაფლანგა კოლმეურნეობის ფული. ფლანგველი დიდ-ხანს იყო თავის პოსტზე, სანამ კოლმეურნეებმა საოლქო პროკურორს არ მიმართეს. კიდევ ერთი მაგალითი. არტელ „კომუნარში" (მიხაილოვის მ. ტ. ს., კურსკის ოლქი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჟუკოვი კოლმეურნეებს არასოდეს არ ელაპარაკება. რჩევა - დარიგების მიცემა რომ სცადონ, ამაზედ ჩვეულებრივ ეტყვის ხოლმე: „ჩემ საქმეში ნუ ერევით. კოლმეურნეობაში მე ვარ ბატონ - პატრონი და არა თქვენ".

ასეთი ჩინოვნიკები და თვითნებები ხალხი ცოტა როდია, მათ დაავიწყდათ, რომ კოლმეურნეები კოლმეურნეობის ბატონ პატრონებია. ისინი ფეხქვეშ თელავენ მათ უფლებებს. ასეთ თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს, რადგან იქ, სადაც საერთო კრების როლი ნოლამდეა დაყვანილი, როგორც წესი, ხედავთ უთაურობას, მფლანგველობას, თვითკრიტიკის ჩახშობას, კოლმეურნეობის დანაგვიანებას კულაკური ელემენტებით.

მაგალითად ბელორუსიაში, გოროდოკის რაიონის აპანსკის სახარტელში, თავმჯდომარე იუზეფოვიჩი თვითნებურად იღებს წევრებს კოლმეურნეობაში. კოლმეურნეებს, რომლებიც ასეთი წესის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ, გარიცხვას ემუქრება.

კოლმეურნეობის „ოქტომბრის 12 წელი" (ლიპიცკის რაიონი, ვორონეჟის ოლქი) თავმჯდომარე ბაბანოვმა გასულ წელს არტელის დაუკითხავად დახარჯა კოლმეურნეობის 70 ათასი მანეთი და შეიძინა კოლმეურნეობისათვის უსარგებლო ძველი ლოკომობილი და დამტვრეული ავტომობილი. ასეთი „შემძენი" კოლმეურნეობას ძალიან ძვირად დაუჯდა.

სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი წესდება ჰქმნის კოლმეურნეობათა მართვა - გამგეობის ისეთ წესს, როცა ასეთი უმსგავსობა შეუძლებელი ხდება. არც ერთი თვალსაჩინო ღონისძიება არ შეიძლება გატარდეს საერთო კრების ნებადაურთველად. წლიური საწარმოო გეგმა, შემოსავალ - გასავლის ხარჯთაღრიცხვა, მშენებლობის გეგმა, ხელშეკრულება სამანქანო - სატრაქტორო სადგურთან, შინაგანი განრიგების წესები — ყოველივე ეს წყდება საერთო კრებაზე, რომელსაც უნდა დაესწროს არტელის წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც. ამგვარად, თვითეულ კოლმეურნეს შეუძლია თავისი აზრებით და წინადადებებით გამოვიდეს. იგი გაცნობილი იქნება კოლმეურნეობის სამეურნეო საქმეებს.

ხოლო ისეთ საკითხებს, როგორიცაა გამგეობის და თავმჯდომარის არჩევნები, შემოსავლის განაწილება, სხვადასხვა ფონდის ოდენობის განსაზღვრა, მიღება და კოლმეურნეობიდან გამორიცხვა, სწყვეტს საერთო კრება, რომელსაც უნდა დაესწროს არტელის წევრთა ორი-მესამედი მაინც.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ კოლმეურნეობის წევრთა გამორიცხვაზე, რამდენადაც ახლა ფრიად სერიოზული საქმეა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ კოლმეურნეობიდან გამორიცხვის საკითხს საერთო კრება სწყვეტს. კოლმეურნეობის თვითეული დადგენილება ამა თუ იმ კოლმეურნის გამორიცხვის შესახებ ძალაში შედის მხოლოდ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ. ამას მოითხოვს წესდება. ეს იმიტომ, რომ არ იქნას დაშვებული თვითნებობა, უსაფუძვლო, მოუფიქრებელი გამორიცხვა. ახლა პირველი ადგილი ეთმობა საზოგადოებრივ აღზრდას, საზოგადოებრივ ზეგავლენას სულ სხვადასხვა გზით. შრომის დისციპლინა კოლმეურნეობაში მტკიცდება არა მასობრივი გამორიცხვით, არამედ დიდი აღმზრდელობითი და საზოგადოებრივი მუშაობით. ხოლო კოლმეურნეობიდან გამორიცხვა — ეს უკიდურესი ზომაა.

ამგვარად, ახალი წესდება იძლევა ყველაფერს იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნე იყოს თავისი კოლმეურნეობის აქტიური მშენებელი. მათი ინიციატივა, გამომგონებლობა ფართოდ უნდა გაიშალოს და ამან ხელი უნდა შეუწყოს საკოლმეურნეო საქმეს. წესდება დგას კოლმეურნის უფლებათა სადარაჯოზე, და არავის შეუძლია ისინი შელახოს. ჩვენ უკვე გვყავს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მტკიცე, შემოწმებული კადრები. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების აღზრდით, ყველა კოლმეურნის ინიციატივის და პასუხისმგებლობის აწევით, ჩვენ მივაღწევთ შემდგომ მუშაობის არნახულ აღმავლობას, სარეკორდო მოსავალს.

ახლა საქმე ის არის, რომ კომუნისტებმა დარაზმონ კოლმეურნეები, გამოასწორონ ნაკლოვანებები და გაიყვანონ კოლმეურნეთა მასები საგაზაფხულო თესვის მინდვრებზე

სსრკის სახკომსაბჭოსა და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ში

კაზაკსტანის ასს რესპუბლიკის მეურნეობის განვითარების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება კაზახსტანის ა.ს.ს. რესპუბლიკის მეურნეობის განვითარების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

ახალ დახმარებას ღებულობს კაზახსტანის სოფლის მეურნეობა მოიხსნება დავალიანება 1933 წლის ხორცის ჩაბარების ხაზით. დავალიანება 1934 წლამდე მოიხსნება 3.500 ტონის რაოდენობით იმ ანგარიშით, რომ დარჩენილი ნაწილი 500 ტონის რაოდენობით დაიფაროს 1935 წელს, კაზახსტანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ბალანსიდან ჩამოწერილი იქნება კოლმეურნეობების დავალიანება 1935 წლის პირველი იანვრისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ 1932—1933 წლებში შესრულებულ სამუშაოებისათვის—3.730 ათასი მანეთის რაოდენობით.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა ამასთან შედარებით და კაზახსტანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ბალანსის საფუძველზე, 1935 წლის პირველ იანვრისათვის უნდა შეავსოს მათი საბრუნავი სახსრები. ს.ს.რ. კავშირის მიწსახკომმა ფინსახკომთან და კაზახსტანის სახკომსაბჭოსთან ერთად უნდა განიხილოს კაზახსტანის სახკომსაბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დამატებითი ჩამოწერილ იქნას კოლმეურნეობების დავალიანებიდან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიმართ 1932—1933 წლებში შესრულებულ სამუშაოებისათვის.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომი მოვალეა შეზიდოს კაზახსტანში მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე 2.500 სატრაქტორო გუთანი და 2.000 ცხენით სათესი მანქანა. ამ რაოდენობიდან ათასი სათესი მანქანა გაცემული იქნება გეგმიანი მომარაგების წესით, ხოლო ათასიც პურის შესყიდვის ფონდის ხაზით 1935 წლის პირველ ნახევარში სხვა მხარეებსა და ოლქებში პურის შესყიდვის ფონდის შემცირების ხარჯზე.

მოსავლის აღების კამპანიისთვის (პირველ აგვისტომდე) უნდა დამთავრდეს 10 ათასი ეტლის დამზადება, აქედან 7.000 კაზახსტანს მიეცემა პურის დამზადების ფონდის ხაზით, ხოლო 3.000 გეგმიანი მომარაგების წესით.

საბჭოთა კავშირის მიწსახკომი მოვალეა უზრუნველყოს ჩელიაბინსკის ქარხნის 900 ტრაქტორის შეტანა კაზახსტანში მიმდინარე წელს, სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოები მოწყობილ უნდა იქნას დაზგებით, ინსტრუმენტარიით.

ნავთის პროდუქტების შესანახად კაზახსტანი პირველ კვარტალში თავის სამანქანო-სატრაქტორო და სამანქანო-სათიბი სადგურებისათვის მიიღებს 100 ცისტერნს 3—3 ნახ. ათასი ტონის და 4000 კასრი საერთო მოცულობით.

კაზახსტანის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის მიწსახკომის გეგმით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაიცემა 300 საბარგო ავტო-მანქანა, მეორე კვარტალში 350 და მესამე კვარტალში 250 მანქანა. კაზახსტანის სახკომსაბჭო მოვალეა ახალი მოსავლის აღების დაწყებამდე უზრუნველყოს პურის გამოზიდვა შიგნითა რაიონებიდან.

ალმა-ატაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასაგებად მიმდინარე წელს გაღებულ იქნება 500 ათასი მანეთი ს.ს.რ. კავშირის მიწსახკომის ხარჯზე.

სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ითვალისწინებს კავშირგაბმულობის შემდგომ განვითარებას კაზახსტანის რესპუბლიკაში. 1935 წელს მოეწყობა ალმა-ატას პირდაპირი სამავთულო-სატელეგრაფო კავშირი მოსკოვთან შემდეგი მიმართულებით: 1) ალმა-ატა, ბალხაშმშენი, ყარაგანდა, კუსტანაი, ჩელიაბინსკი.

2) ალმა-ატა, ჩიმკენტი, აქტიუბინსკი, ორენბურგი.

3) ალმა-ატა, სემიპალატინსკი, ომსკი, გარდა ამისა მყარდება ალმა-ატას ასეთივე კავშირი რესპუბლიკის საოლქო და საოკრუგო ცენტრებთან: პეტროპავლოვსკთან, სემიპალატინსკთან, ურალსკთან, აქტიუბინსკთან, კარკალინსკთან, ყარაგანდასთან, გურიევთან (ურალსკზე გავლით).

საოლქო ცენტრების და რაიონების, აგრეთვე ალმა-ატის არსებული სამავთულო სატელეგრაფო კავშირის და კაზახსტანის დედაქალაქის მოსკოვთან კავშირის გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატმა 1935 წელს უნდა ააგოს 2.100 კილომეტრი ახალი ხაზები, გაიყვანოს 12.100 კილომეტრი მავთული და განაახლოს ათასი კილომეტრი მავთული არსებულ ხაზებზე.

1935 წელს ეწყობა ალმა-ატას ორმხრივი რადიო-სატელეგრაფო კავშირი ყარაგანდასთან, კარკალინსკთან და ჩიმკენტთან, რადიო-სატელეგრაფო კავშირი და რადიო-სატელეფონო კავშირი პეტროპავლოვსკთან, სემიპალატინსკთან, აქტიუბინსკთან, ურალსკთან და გურიევთან. 1935 წელს ალმა-ატაში დაიწყება ას კილოვატიანი რადიო-გადამცემი სადგურის მშენებლობა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1936 წელს. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს კომპლექტური დაკვეთა 1936 წლისათვის ამ სადგურის მოწყობილობის დამზადებაზე და მონტაჟზე.

კავშირგაბმულობის ზემოთაღნიშნულ სამუშაოთა უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია ფონდი — 2.000 ტონა სატელეგრაფო მავთული.

1935 წელს რიდერში უნდა აშენდეს სატელეფონო სადგური (ც. ბ.) 300 ნომრით და უზრუნველყოფილ იქნას სატელეფონო სადგურების მშენებლობა ჩიმკენტში (1.000 ნომრით) და პეტროპავლოვსკში (800 ნომრით), რათა გადაცემულ იქნას ისინი საექსპლოატაციოდ 1936 წლის პირველ ნახევარში. ამას გარდა, ალმა-ატასათვის მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოყოფილი იქნება ავტომატიური სატელეფონო სადგური 200 ნომრით.

საფოსტო კავშირის უზრუნველსაყოფად, [illegible], მოშორებულ ცენტრებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში გაზეთების თავის დროზე მიტანის უზრუნველსაყოფად, კაზახსტანი 1935 წელს მიიღებს 100 ავტომანქანას კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ფონდებიდან ანგარიშში. საგზაო მშენებლობის სამუშაოების მექანიზაციისათვის კაზახსტანი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიიღებს 20 ბორბლიან ტრაქტორს, მათში 20 მუხლუხოვან ტრაქტორს.

კაზახსტანის კავშირგაბმულობის მშენებლობათა კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა 1935 წლისათვის განსაზღვრულია 13.500 ათასი მანეთის რაოდენობით კაპიტალური სამუშაოების იმ მოცულობის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის გეგმით.

კაზახსტანში კავშირგაბმულობის განვითარების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეფარდებით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ 50 ათასი ცალით უნდა გაადიდოს იმ სატელეგრაფო ბოძების რაოდენობა, რომლებსაც გამოყოფს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი 1935 წელს, ხოლო გზათა სახალხო კომისარიატმა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატმა უნდა გაითვალისწინონ თვიურ გეგმებში მათი გადაზიდვა კაზახსტანში წლის პირველ ნახევარში.

სახკომსაბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაქციეს კაზახსტანის მრეწველობის განვითარებას კაზახსტანის სამრეწველო ცენტრებში გაიშლება საბინაო-საცხოვრებელი მშენებლობა. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია მისცეს მიმდინარე წელს ამ მიზნისათვის რიდერს 4 მილიონი მანეთი, „კაზპოლიმეტალს" — 4½ მილიონი მანეთი, ყარაგანდას — 9.760 ათასი მანეთი, აქტიუბინსკს — 1 მილიონი მანეთი.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 15 აპრილისათვის უნდა წარუდგინოს საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიის შეფარდებით, წინადადება აქტიუბინის სამადნოებში ნიკელის ქარხნის მშენებლობის ადგილის შესახებ, ამასთან მიაწვდინოს ამ საკითხის ექსპერტიზა კაზახსტანის სახკომსაბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საჭიროდ იქნა ცნობილი დაწყებულ იქნას ალმა-ატაში სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის მშენებლობა. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა 1935 წელს სავსებით უნდა დაამთავროს ამ მშენებლობის პროექტი და შეუდგეს უკვე მოსამზადებელ მუშაობას იმ ანგარიშით, რომ [illegible] ინსტიტუტის მშენებლობა 1936 წელს.

კაზახსტანში 1935 წელს ნავთის ახალ და ძველ ბაზებზე აშენებულ იქნება ახალი ნავთსაცავები ოცი ათასი ტონა ნავთის მოცულობით. ნავთსაცავებს აშენებს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომელიც ვალდებულია აგრეთვე ჩაატაროს ნავთის არსებული ბაზების მოწყობილობის რემონტი. საკავშირო ნავთგასაღებმა კაზახსტანის სახკომსაბჭოსთან ერთად უნდა დასახოს ახალი ნავთსაცავების მშენებლობის პუნქტები და ნავთის ძველი საწყობები, რომლებიც მოწყობილ უნდა იქნას. საჭირო ასიგნობანი ნავთის ახალი ბაზების მშენებლობისა და არსებული ბაზების რემონტისათვის განსაზღვრულია ერთი მილიონი მანეთის ოდენობით მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის გეგმის ხარჯზე.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი ვალდებულია გაადიდოს 1935 წელს ასიგნობანი სემიპალატინსკის ხორცკომბინატის საბინაო საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის 700 ათას მანეთამდე კაპიტალური სამუშაოების თავისი ლიმიტის ხარჯზე.

დასახულია კაზახსტანის ტრანსპორტის შემდგომი განვითარება გზათა სახალხო კომისარიატმა უნდა დაამთავროს და საექსპლოატაციოდ გადასცეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში რკინიგზის შტო ჩიმკენტ-ლენგერი. 1935 წლის დამლევისათვის უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ იქნას გადაცემული რუბცოვკა-რიდერის რკინიგზის ხაზები ყარაგანდა-ბალხაში და რუბცოვკა-უსტკამენოგორსკი ფართო ლიანდაგიანი და ვიწრო ლიანდაგიანი გზის შეერთებით უსტ-კამენოგორსკში.

1936 წლის დასაწყისში გზათა სახალხო კომისარიატი უნდა შეუდგეს ვაგზლის მშენებლობას ალმა-ატაში.

კაზახსტანის ა. ს. ს. რესპუბლიკის სამხარეო და საოლქო დაწესებულებათათვის მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოყოფილი იქნება 40 სამგზავრო ავტომანქანა. (აქედან 35 ავტომანქანა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ფონდის ხარჯზე და 5 — საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდის ხარჯზე). ამას გარდა, ალმა-ატა მიიღებს 12 ავტობუსს და 5 ტაქსის (რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს ფონდის ხარჯზე).

მეორე კვარტალისათვის ავტომანქანების განაწილების დროს გათვალისწინებული იქნება 10 ავტობუსის და 20 სატვირთო ავტომანქანის გამოყოფა ალმა-ატას საქალაქო მშენებლობისათვის.

სახკომსაბჭოს და ც. კ-ის დადგენილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხებს. კაზახსტანის ქალაქების კომუნალურ და საბინაო მშენებლობაზე დამატებით გადაიდება 5 მილიონი მანეთი (აქედან 3,5 მილიონი მანეთი შესდგება ერთპროცენტიანი გადარიცხვებისაგან იმ მშენებლობისათვის, რომელსაც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი და გზათა სახალხო კომისარიატი კაზახსტანის ტერიტორიაზე ახორციელებენ, 300 ათასი მიღებული იქნება ქალაქ მოსკოვის, 300 ათასი მანეთი ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის და 600 ათასი მანეთი რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ასიგნობათა შემცირების ხარჯზე).

რუსეთის ს. ფ. ს. რ.-ის სახკომსაბჭო ვალდებულია გამოყოს 1935 წელს კაზახსტანის კიროვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობისათვის 1 მილიონი მანეთი.

რუსეთის ს. ფ. ს.რ.-ის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყოს ალმა-ატაში საწიგნო-საჟურნალო სტამბის მშენებლობის დამთავრება და ამუშავება 1935 წელს. ლიმიტი ამ მშენებლობისათვის დაწესებულია 2 მილიონი მანეთი რუსეთის ს. ფ. ს. რ.-ის ადგილობრივი მრეწველობის ასიგნობათა ფარგლებში.

კაზახსტანის პოლიგრაფიული მრეწველობისათვის 1935 წელს გამოიყოფა შემდეგი მოწყობილობა: ერთი საგაზეთო საროტაციო მანქანა, 5 ლინოტიპი, 4 საქრელი მანქანა, ერთი ბრტყელი საბეჭდი მანქანა, 30 „ამერიკანკა", 5 საკერი მანქანა, 2 საკეცი მანქანა, 10 ტონა ლითონი ლინოტიპისათვის, 40 ტონა შრიფტი.

ს. ს. რ. კ.-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და რუსეთის ს. ფ. ს. რ.-ის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა კაზახსტანისათვის 1936 წელს უნდა გამოყონ წიგნის საროტაციო მანქანა.

კაპიტალური ხარჯები საოლქო, საოკრუგო და სარაიონო ცენტრებში არსებული სტამბების რეკონსტრუქციისა და რემონტისათვის წესდება 500 ათასი მანეთი რუსეთის ს. ფ. ს. რ.-ის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კაპიტალურ სამუშაოთა ლიმიტის ხარჯზე.

შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეტანის გეგმებში საბაზრო ფონდის ხაზით უნდა გაითვალისწინოს, ხოლო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა კაზახსტანში ამა წლის 1 აპრილამდე შეიტანოს ათასი რადიომიმღები კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად. შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატმა ამა წლის პირველ კვარტალს კაზახსტანში უნდა შეიტანოს 2.500 ველოსიპედი სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის რაიონული მუშაკებისათვის, ვეტერინარული ექიმებისა და აგრონომებისათვის მისაყიდად.

★

სახკომსაბჭომ და ც. კ.-მა წინადადება მისცეს ს.ს.რ.კ.-ის მიწსახკომს დაადგინოს კაზახსტანის და სხვა ოლქების სამანქანო-სათიბი სადგურების მიმართ როგორც სატიტულო სიების დამტკიცების, ისე ფინანსირების და საწვავი მასალით, კადრებით და სხ. მომარაგების მხრივ, იგივე წესი, რომელიც არსებობს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის. საკავშირო მიწსახკომმა ერთი თვის ვადაში დაამუშაოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი და შეიტანოს ისინი ს.ს.რ. კ-ის სახკომსაბჭოსა და საკ. კ.პ.(ბ) ც. კ.-ში.

ს.ს.რ. კ-ის სახალხო კომისართა საბჭოში

გუშინ შესდგა ს.ს.რ.კ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს მორიგი სხდომა.

პირველად განხილულ იქნა ხეტყის დამზადების და ხეტყის გამოზიდვის მსვლელობის საკითხი. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარის ამხ. ლობოვმა სხდომას მოახსენა, რომ ხეტყის გამოზიდვის კვარტალური გეგმა 10 თებერვლისათვის შესრულებულია 42,6 პროცენტით, ამასთან განსაკუთრებით ჩამორჩება მექანიზებული და რაციონალიზებული გამოზიდვა.

სხვა სახალხო კომისარიატები, რომლებიც ხეტყეს ამზადებენ, როგორც მათი წარმომადგენლების ინფორმაციიდან გამოირკვა, რამდენად უკეთ მუშაობენ. გზათა სახალხო კომისარიატმა 10 თებერვლისათვის შეასრულა კვარტალური პროგრამის 48 პროცენტი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა — 46,8 პროცენტი.

ამხ. ლობოვის მოხსენება საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული. საბჭოთა კონტროლის კომისიის წარმომადგენელმა ამხ. ოშენცევმა, სპეციალური შემოწმების მასალის მიხედვით, ახსნა მექანიზებული გამოზიდვის მკვეთრი ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები: სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს არ მოუმზადებია ბაზა საწვავი მასალით მანქანების მომარაგებისა და მათი რემონტისათვის, მას არ უზრუნია აგრეთვე ყინულოვანი გზების გაყვანაზე. ამასთან ერთად ხეტყის გამოსაზიდად მიღებული ჩელიაბინსკის ტრაქტორთა საგრძნობი ნაწილი სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაურიგა არასატყეო მთავარ სამმართველოებს, ხოლო რამოდენიმე მანქანა [illegible] გაყიდა.

ამხ. **ჩუბარმა** აღნიშნა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინადადებათა ძირითადი დეფექტი: მათში განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა მექანიზაციას, ეს კი მთავარია. **ვხედავთ ანტიმექანიზატორულ ტენდენციებს,** როგორც ეს თავის დროზე შემჩნეული იყო დონბასში. 150 მუხლუხოვანი ტრაქტორების (1934 წლის მიღებულთა რიცხვიდან) დამხმარე სამუშაოებზე გადაცემა ამას ნათლად ადასტურებს. აუცილებლად საჭიროა სასტიკად დავსაჯოთ დამნაშავენი, აღვკვეთოთ წინააღმდეგობა მექანიზაციისადმი. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ამ ბოროტებას ჯეროვნად არ ებრძვის. სატყეო მრეწველობის წინადადებათა პროექტი საფუძვლადაც კი არ შეიძლება მიღებულ იქნას.

სახკომსაბჭომ არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალა ს.ს.რ.კ-ის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ ხეტყის გამოზიდვის გეგმის შესრულების მსვლელობა და დაავალა ამხ. ლობოვს, აზრთა მომხდარი გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, ორი დღის ვადაში წარმოადგინოს ხეტყის გამოზიდვის და განსაკუთრებით მექანიზებული გამოზიდვის გასაძლიერებლად საჭირო კონკრეტული ღონისძიებათა პროექტი, ამასთან მთავარი ყურადღება მიაქციოს ჩამორჩენილ ტრესტებს და ოლქებს.

განხილვამ გამოამჟღავნა აგრეთვე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ხეტყის დაცურებისათვის მზადებაში. სახკომსაბჭომ დაავალა სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს სხვა სახალხო კომისარიატებთან ერთად დაამუშაოს და წარუდგინოს განსახილველად შრომისა და თავდაცვის საბჭოს მორების დაცურების ოპერატიული გეგმა, რომელშიც ცალკე უნდა გამოიყოს ზამთარში ტივებად შეკვრის და წყალდიდობის პერიოდში დაცურების ამოცანები.

ამის შემდეგ ირჩეოდა საკითხი სახელმწიფოსათვის 1935 წელს მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ 1935 წლის მატყლის ჩაბარების და შესყიდვის გეგმების შესახებ. მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ დამზადებათა კომიტეტის პროექტი, რომელიც წარმოადგინა ამხ. **კლეინერმა,** დამტკიცებულია. გეგმა საბჭოთა მეურნეობებისათვის დამტკიცებულია შესწორებებით: მატყლის ჩაბარების მტკიცე წლიურ გეგმას საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მეცხვარეობის თვითეულ საბჭოთა მეურნეობისათვის აწესებს სახალხო კომისარიატი დამზადებათა კომიტეტთან შეთანხმებით არა უგვიანეს 15 მარტისა. ამხ. **კლეინერს** დაევალა წარმოადგინოს წინადადება ჩაბარების გეგმის ზევით დარჩენილი ზედმეტი მატყლის შესყიდვის შესახებ.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის (ამხ. **სმირნოვი**) მოხსენების გარშემო 1935 წლისათვის საერთო საამშენებლო სამუშაოთა ძირითადი ნორმებისა და ზედნადებ ხარჯთა ნორმების შესახებ თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. ერთი თვალსაზრისი იყო: სახალხო კომისართა საბჭომ მიიღოს დადგენილება ძირითადი ნორმების შესახებ, რომლებიც სავალდებულო იქნება ყველა სახალხო კომისარიატისათვის. მეორე თვალსაზრისი: სახალხო კომისართა საბჭომ კი არ გამოიტანოს ასეთი გადაწყვეტილება, არამედ ნორმების დამუშავება გადასცეს სათანადო სახალხო კომისარიატებს.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. **მოლოტოვმა,** გაუკეთა რა ჯამი კამათს, აღნიშნა, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება არის ის, რომლითაც გამომუშავების ნორმების დაწესებისათვის პასუხისმგებლობა და მათი განხორციელება ეკისრებათ სახალხო კომისარიატებს. სახკომსაბჭომ კი კონტროლი უნდა გაუწიოს მათ. ლაპარაკობს რა კონტროლის შესახებ, ამხ. **მოლოტოვი** ყურადღებას აპყრობს იმ გარემოებას, რომ ამ მხრივ სუსტად მუშაობენ სპეციალური ბანკები და აღნიშნავს, რომ ამ საკითხის განხილვას არ ესწრებიან სამრეწველო ბანკის ხელმძღვანელი ამხ. **თუმანოვი** და ცენტრალური კომუნალური ბანკის ხელმძღვანელი ამხ. **ლუჟანოვსკი.** სხვადასხვაობას ნორმებში უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოს, რისთვისაც სახალხო კომისარიატებმა უნდა გამოიტანონ სათანადო — გადაწყვეტილებები, სადაც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინადადებები, რომლის მუშაობა ამ მიმართულებით მოწონებული უნდა იქნეს. სახალხო კომისარიატების გადაწყვეტილებანი განსახილველად უნდა წარუდგინონ სახკომსაბჭოს. ამხ. მოლოტოვის წინადადებები მიღებულ იქნა.

ზედნადები ხარჯების შესახებ სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა სახალხო კომისარიატებს აზრთა გაცვლა-გამოცვლის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინადადებათა გათვალისწინების საფუძველზე შეადგინონ ზედნადები ხარჯების შემცირების პროექტი (ცალ-ცალკე სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოების მიხედვით) და ორი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ განსახილველად სახკომსაბჭოს.

1935 წლისათვის მოწყობილობის ბალანსის საკითხის შესახებ სახკომსაბჭომ მოისმინა ამხ. **მეჟლაუკის** ცნობა. მისი კომისიის მუშაობა მოწონებულია ამხ. მეჟლაუკს დაევალა სამი დღის ვადაში განიხილოს სახალხო კომისარიატებისაგან შემოსული საწინააღმდეგო მოსაზრებანი და სახკომსაბჭოს სახელით საბოლოოდ დაამტკიცოს მოწყობილობის ბალანსი 1935 წლისათვის.

ხანგრძლივი მსჯელობა გამოიწვია საკითხმა 1935 წელს ჭარხლის კონტრაქტაციისა და მოსავლიანობის გადიდების შესახებ. ამხანაგმა **ჩერნოვმა** და ამხ. **ოდინცოვმა** ილაპარაკეს ღონისძიებებზე, რომლებიც დასახული აქვთ მიწსახკომს და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს. კამათში მთელი სისრულით გაიშუქა საკითხი ამხ. **მიქოიანმა.** მან მოიყვანა საინტერესო ციფრები იმის შესახებ, რომ ერთდაიმავე ოლქში ცალკეულმა მოწინავე საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს ჰექტარზე 220 და 330 ცენტნერამდე ჭარხლის მოსავალს, მაშინ, როცა მეზობელი საბჭ. მეურნეობები იძლევიან 100, 80 და უფრო ნაკლებ ცენტნერს. ყველაზე გადაუდებელი ამოცანებია: ღრმად მოხვნა, დამუშავების მექანიზაცია, ბრძოლა მავნებლებთან, მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის ბრიგადების ფულადი დაჯილდოვების დაწესება, ქიმიური სასუქის, პირველ რიგში „ტომასშლაკის" ფართოდ გამოყენება და სხვ.

სახკომსაბჭომ გადაწყვიტა დადგენილების გამოსამუშავებლად შეიქმნას კომისია ამხ. **ჩუბარის** თავმჯდომარეობით.

მეორე კომისია ამხ. **მეჟლაუკის** თავმჯდომარეობით დაარსდა იმ მიზნით, რომ საბოლოოდ შეიმუშაოს დებულება ს.ს.რ. კ-ის სახკომსაბჭოსთან სრულიად საკავშირო სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის შესახებ.

შემდეგ სახკომსაბჭომ დაამტკიცა მიწსახკომისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი სატიტულო სია სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, რომლებიც ეწყობა 1935 წლის გაზაფხულისათვის.

საქართველოს დელეგაცია ამხანაგ **სტალინთან, მოლოტოვთან,** კაგანოვიჩთან და იაკოვლევთან. წინ (მარცხნიდან მარჯვნით): **ხ. კაკალია** — კოდორის რაიონის (აფხაზეთი) კოლმეურნეობა „კრასნაია მოსკვა" თავმჯდომარე; **კ. ჯუღელი** — ზესტაფონის რაიონის სიმონ ჯუღელის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ბ. კილაძე** — ლანჩხუთის რაიონის ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. მეორე რიგში, სხედან: **ელენე აროშიძე** — მახარაძის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის დამკვრელი ქალი; **ი. ალასანია** — სენაკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბერის" ბრიგადირი; **გ. გიგილაშვილი** — ხაშურის რაიონის ლენინის სახ. კოლმეურნეობის დამკვრელი. მესამე რიგში: **ს. მახარაძე** — ქობულეთის რაიონის (აჭარისტანი) მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **ა. ფეხტვენიძე** — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლას" თავმჯდომარე; **ვ. ყოჩიაშვილი** — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" ბრიგადირი; **ა. ხარბეგაშვილი** — გორის რაიონის ქართველიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ს. ბაზანდარაშვილი** — გორის რაიონის ქართველიშვილის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე; **მ. მექვაბიშვილი** — მახარაძის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი; **დ. მანგოშვილი** — ლაგოდეხის რაიონის 26 კომუნარის სახ. კოლმეურნეობის პარტორგი; **ჭელიძე** — საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი; **ოლღა შენგელია** — მახარაძის რაიონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ართ. კვირიკაძე

ბრძოლა შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლიანობისათვის

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებმა მიაღწიეს გიგანტურ წარმატებებს, განსაკუთრებით ბოლო სამი წლის განმავლობაში. საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკამ ამხ. **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩაატარა, რომ ამიერკავკასია და საქართველო საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების განვითარების თანაბარ დონეზე მდგარიყო.

პარტიის გენერალური ხაზის გატარების, ბოლშევიკური ბრძოლისა და მუშაობის შედეგად საქართველოში წარმოიშვენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი დარგები.

ამ წერილში ჩვენ არ მოგვინდება საქართველოს ინდუსტრიალურ და სასოფლო-სამეურნეო განვითარებაზე შეჩერება აქ დავკმაყოფილდებით მარტო ერთი საკითხით, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ერთი დარგით. ეს არის **საშაქრე ჭარხალი და შაქრის მრეწველობა.**

ცდებისა და დაკვირვებების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში — გორის, კასპისა და სტალინისის რაიონებში მოიპოვება საუკეთესო პირობები საშაქრე ჭარხლის გასაშენებლად, რომ ამ რაიონების ჭარხლის შაქრიანობა გაცილებით აღემატება უკრაინისა და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ჭარხლის შაქრიანობას. ამ საფუძველზე საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა საშაქრე ჭარხლის გაშენებას ჩვენში და ამ კულტურის ადგილობრივ გადამუშავებას. აგებულ იქნა შაქრის უზარმაზარი ქარხანა, რომელიც 13 მილიონამდე დაჯდა, მათ შორის მოწყობილობა — დაახლოვებით 6 მილიონი მანეთი. თავისი სიმძლავრით, მოწყობილობათა და ტექნიკით აგარის ქარხანას მეორე ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში.

ქარხნის საწარმოო სიმძლავრე გათვალისწინებულია 1½ მილ. ცენტნერ საშაქრე ჭარხლის გადასამუშავებლად. ქარხნის ექსპლოატაცია დაიწყო 1933 წელს. გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა შეადგენს: 1933 წ. — 27.960 1934 წ. — **81.348 ცენტნერ შაქარს.**

კოლექტიური შრომის, საკოლმეურნეო წარმოების საფუძველზე გაიშალა ბრძოლა საშაქრე ჭარხლის კულტურის დანერგვისათვის მოსავლიანობის მატებისათვის, ფართობების გადიდებისათვის.

საშაქრე ჭარხლის წარმოება პირველყოვლისა და უმთავრესად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშია თავმოყრილი. ერთპიროვნული მეურნეობა თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს.

საშაქრე ჭარხლის ფართობები წლების მიხედვით ასე იზრდებოდა: 1932 წ. დაითესა 3.078 ჰექტარი, 1933 წ. — 4.553 ჰექტარი, ხოლო 1934 წელს — 5.687 ჰექტარი. ამ ფართობების ნახევარზე მეტი მდებარეობს სტალინისის რაიონში. საშაქრე ჭარხალს სთესენ სომხეთშიაც, სადაც 1933 წ. საშაქრე ჭარხლის ფართობი კოლმეურნეობებში შეადგენდა 240 ჰექტარს, 1934 წელს — 495 ჰექტარს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 260 ჰექტარს. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ჩვენ არ გვაქვს საშაქრე ჭარხლის ფართობების განსაკუთრებით ჩქარი ზრდა. ამის მიზეზს წარმოადგენს ამ კულტურის შრომატევადობა, მოსავლის აღების საქმეში თითქმის ყოველგვარი მექანიზაციის უქონლობა და როგორც მაღალი, ისე მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მოუმზადებლობა. საკოლმეურნეო მასები ჯერ კიდევ მთლიანად და სავსებით არ დაეუფლებიან საშაქრე ჭარხლის წარმოების ტექნიკას, თუმცა კოლმეურნეები და განსაკუთრებით კოლმეურნე ქალები იბრძვიან სოფლის მეურნეობის ამ მაღალ რენტაბელური კულტურის წარმოების მაღალი ტექნიკის დასაუფლებლად.

მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვაკმაყოფილებთ ჭარხლით ქარხნის მოთხოვნილებას, მაგრამ აშკარაა, რომ **საერთო მოსავალი ყოველწლიურად იზრდება.** ასე, ყველა სექტორის მიხედვით ჭარხლის საერთო მოსავალი 1932 წ. შეადგენდა სულ 66.033 ცენტნერს, 1933 წ. — უკვე 308456 ცენტნერს, ხოლო 1934 წ. საქართველოსა და სომხეთის საშაქრე რაიონებში — 520.498 ცენტნერს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა და ბევრი მუშაობა მოგველის. საშაქრე ჭარხალი ჩვენ კიდევ უფრო მეტი გვჭირდება, აგარის შაქრის ქარხანას შეუძლია გადაამუშაოს 1½ მილიონი ცენტნერი საშაქრე ჭარხალი და ჩვენ კი 1934 წ. მხოლოდ 520.000 ცენტნერი მივაწოდეთ. მაშასადამე, ქარხნის სავსებით დასატვირთავად საჭიროა კიდევ 1. მილ. ცენტნერი საშაქრე ჭარხალი.

საშაქრე ჭარხლის რაიონის ბოლშევიკები თავის საპატიო ამოცანად 1935 და 1936 წ. წ. უნდა სთვლიდენ სწორედ იმას, რომ შაქრის ქარხანა უზრუნველყონ ნედლეულის საკმაო რაოდენობით. ეს ამოცანა აუცილებლივ უნდა შესრულონ. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ საუკეთესო მოწყობილობით უზრუნველყოფილი ქარხანა დატვირთული იყოს მხოლოდ ერთი მესამედით. მთელი შემდგომი ბრძოლა და მუშაობა უნდა წარმოებდეს და უეჭველია იწარმოებს არა მარტო სათესი ფართობების გადიდების, არამედ მოსავლიანობის ზრდის, აგრო-ტექნიკური ღონისძიებათა და სასუქების გამოყენების ხაზით.

მოსავლიანობის გადიდების სურათს გვაძლევენ შემდეგი მონაცემები: ჯერ კიდევ 1932 წ. მოსავალი ჰექტარზე სტალინისის რაიონში შეადგენდა 19,3 ცენტნერს, გორის რაიონში — 25,4, კასპის რაიონში — 25,7; 1933 წ. სტალინისის რაიონში მოსავალი აღწევს 66,5 ცენტნერს, გორის რაიონში — 91,2 და კასპის რაიონში — 63,1 ხოლო 1934 წ. სათანადოდ — 86, 92,2 და 123,5 სომხეთში საშაქრე ჭარხლის მოსავალი ერთ ჰექტარზე 1934 წ. უდრიდა 82,6 ცენტნერს. მართალია, თითქმის ყველა რაიონმა შეასრულა მოსავლიანობის გადიდების გეგმა და კიდევაც გადააჭარბა მას, მაგრამ ეს მაინც მეტისმეტად ჩამორჩება მეორე ხუთწლედის ვარაუდს, რომლის მიხედვით 1937 წ. ერთ ჰექტარზე ჩვენ უნდა მივიღოთ არა ნაკლები 200 ცენტნერი საშაქრე ჭარხალი.

საშაქრე ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების ერთერთ ძირითად პირობას საქართველოში შეადგენს **ნათესების მორწყვა.** როგორც ვიცით, ეს კულტურა ვერ იტანს ბევრ ნალექს, მაგრამ ვერც გვალვას უძლებს, რაც არაა იშვიათი ქართლში. ამიტომ, უეჭველია, საშაქრე ჭარხლის ნათესების მორწყვა უდიდეს ეფექტს მოგვცემს. როგორც 1933, ისე 1934 წელში მორწყული ნათესების თითოეულ ჰექტარზე მოსავალი 230-დან 250 ცენტნერს შეადგენდა. ჩვენი მორიგ ამოცანას შეადგენს სარწყავი ქსელის გაყვანა მთელი დოლლაურის დაბლობზე, ასწვრივ, რის შედეგად მივიღებთ 3500 ჰექტარს საუკეთესო სახნავს, რომელიც სწორი დამუშავებისა და მოვლის პირობებში უახლოეს ორი წლის მანძილზე მოგვცემს 250-280 ცენტნერ ჭარხალს ჰექტარზე.

საშაქრე ჭარხალი მეტისმეტად შრომატევადი კულტურაა, რომელიც თითქმის დათესვის მომენტიდან აღებამდე მოითხოვს გამრჯელ მზრუნველს. მართალია, გასული ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტი ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

საშაქრე ჭარხალი, როგორც ახალი კულტურა, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეჭრილა კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებაში, კოლმეურნემ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაწვრილებით არ იცის ამ კულტურის აგროტექნიკა. ამიტომ საშაქრე ჭარხლის დაბალი მოსავლიანობა აიხსნება აგროტექნიკის დაბალი დონით, გასამარგლავი და სახნავი სამუშაოების შესრულების დაბალი ხარისხით და დიდი დანაკარგებით მოსავლის აღების დროს. საკავშირო სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრ. სამმართველოს მასალებით, აუცილებელ ასაცილებელ დანაკარგების პროცენტი 1934 წ. ჭარხლის მიხედვით შეადგენდა 10-დან 12. ეს იმას ნიშნავს, რომ სუსტი მუშაობის გამო, საქართველოში გასულ წელს ჩვენ დაგვაკლდა 60.000 ცენტნერი ჭარხალი ან 10.000 ფუთამდე შაქარი, ხოლო მთელი საბჭოთა კავშირის მიხედვით ეს დანაკლისი 13 მილ. ცენტნერ ჭარხალს ან 12 მილიონ ფუთამდე შაქარს უდრიდა.

ჯერ კიდევ არაა ყველაფერი გაკეთებული, რომ თითოეულმა კოლმეურნემ მთლიანად და სავსებით შეითვისოს საშაქრე ჭარხლის მთელი აგროტექნიკა. ამ მხრივ გვაკლია სათანადო ლიტერატურა, პლაკატები და სხვა სააგიტაციო მასალა. ჩვენი აგროპერსონალი, მართალია, მეტად კეთილსინდისიერად მუშაობს, მაგრამ არც მაინცდამაინც სავსებით დამაკმაყოფილებლად. საჭიროა ხელმისაწვდომი პოპულარული ლიტერატურის, სათანადო პლაკატების გამოცემა, კურსების სისტემატიური მოწყობა საშაქრე ჭარხლის აგროტექნიკის დასანერგავად. საქართველოს მიწსახკომი და მისი აპარატი ჯერჯერობით ამ მხრივ სუსტად მუშაობენ.

როგორც ვიცით, ყოველ ჰექტარზე უნდა მივიღოთ 85-100 ათ. ძირი ჭარხალი, ჩვენმა საუკეთესო კოლმეურნეობებმა კი მოგვცეს არა უმეტეს 65 ათასი ერთეულისა, რითაც ჩვენს შაქრის მრეწველობას დიდ ზარალს ვაყენებთ.

შესაძლებელია თუ არა ამის აცილება? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. საქმე ისაა, რომ მეორე გამარგვლის დროს კოლმეურნეები გამოხშირვას აწარმოებენ არა ხელით, არამედ თოხით. ამის გამო, მანძილი საშაქრე ჭარხლის ძირებს შორის ნორმალურ 20 სანტიმეტრის ნაცვლად რჩება 30-50, ხოლო ხანდახან 100 სანტიმეტრი. ამით მიღებული დანაკარგი კარგა საგრძნობია. იმის მაგიერ, რომ ჰექტარზე 85.000 ათასი ცალი ჭარხალი მივიღოთ, ვღებულობთ, უკეთეს შემთხვევაში, 60-65, ათასს, ხოლო სუსტ კოლმეურნეობებში — 35-45 ათასს. ამ დანაკარგებს აუცილებლად თავი უნდა დავაღწიოთ. ამიტომ საჭიროა შევაგნებინოთ კოლმეურნეებს და განსაკუთრებით კოლმეურნე ქალებს, რომლებიც უმთავრესად აწარმოებენ ამ საქმეს, რომ გამოხშირვა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ **ხელით და არა თოხით,** რომ საშაქრე ჭარხლის ძირებს შორის უნდა რჩებოდეს 20 სანტიმეტრი მანძილი. ეს ოქროს წესი და, შეიძლება ითქვას, პირველი მცნება საშაქრე ჭარხლის გაშენებისა და მოვლის საქმეში ზედმიწევნით უნდა შესრულოს ყოველმა კოლმეურნემ.

უდიდესი დანაკარგები გვაქვს აგრეთვე საშაქრე ჭარხლის **ამოღების, გაწმენდის და დაჭრის დროს.** როგორც ვიცით, ჭარხლის დაუზიანებლად ამოღებისათვის ხმარობენ სპეციალურ სათხრელს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მიღებულ იქნა ენერგიული ზომები, მთელი რიგი კოლმეურნეობები 1934 წ. ამ საქმეში იყენებდენ ნიჩბებს და ჭარხალს აზიანებდენ. დაზიანებული ჭარხალი კი ლპება და სხვასაც ალპობს. ასეთივე მდგომარეობაა გაწმენდისა და დაჭრის დროს. აქაც სათანადო წესების უგულებელყოფა იწვევს ჭარხლის ლპობას.

საშაქრე ჭარხლის [illegible] დროს ამ „წვრილმანებს" განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიმდინარე წელს ასეთი პატარ-პატარა „ნაკლოვანებანი" საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ჭარხლის უდანაკარგოდ აღება.

ამასთან დიდია დანაკარგები საშაქრე ჭარხლის **გადაზიდვის** დროს. მანძილი მინდვრებიდან ქარხნამდე ხშირად მოფენილია ჭარხლით რომელსაც ანადგურებს პირუტყვი. ეს ხდება მაშინ, როდესაც კატეგორიულად აკრძალულია პირუტყვის გარეკვა მინდვრებზე ჭარხლის აღების პერიოდში. გარდა ამისა, რომ ამით ნადგურდება აუარებელი ჭარხალი, იღუპება თვით მუშა-პირუტყვიც. მაგალითად, გასულ წელს დაიღუპა 35 პირუტყვი.

ჭარხლის შენახვა მინდვრად, მისი გადაზიდვა მიმღებ პუნქტებში, ურმების ისე მოწყობა, რომ გადაზიდვის დროს ჭარხალი არ სცვიოდეს — ყველაფერი ეს შეადგენს ჩვენს გადაუდებელ ამოცანას დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში.

ამნაირად, საშაქრე ჭარხლის რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა გასულ წელს შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. 1935 წ. კიდევ უფრო მეტი სიმტკიცით უნდა გავაგრძელოთ ბოლშევიკური შეტევა საკოლმეურნეო ფრონტზე, უფრო მეტი დაკვირვება, კონკრეტულობა უნდა გამოვიჩინოთ საკოლმეურნეო მშენებლობის, შრომის ორგანიზაციის საკითხებისადმი.

საშაქრე ჭარხლის რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა აიცილონ გასული წლების შეცდომები. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ზემდგომ ორგანოების დადგენილებით საშაქრე ჭარხლის სათესი ფართობი 1934 წელთან შედარებით არ იზრდება.

ჭარხლის აღების მექანიზაცია ჩვენს საშაქრე ჭარხლის რაიონებში სრულიად არ ტარდება. ეს ხდება არა იმიტომ, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება საშაქრე ჭარხლის ასაღები და გამწმენდი მანქანები, არამედ იმიტომ, რომ სუსტად ვმუშაობთ იმ დროს, როცა უკრაინაში საშაქრე ჭარხლის აღების მექანიზაცია 33 პროცენტამდე გაიზარდა (დავალება კი 1937 წლისათვის 80 პროცენტს შეადგენს), ჩვენში ამ მხრივ სრულიად არაფერი გაკეთებულა, მექანიზაცია გაადიდებს კოლმეურნეების შრომის ნაყოფიერებას, გაზრდის მოსავლიანობას, შეამცირებს დანაკარგებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებით, 1935 წლის პირველი იანვრიდან საბარათო სისტემის გაუქმებასთან ერთად, მთლიანად უქმდება პურის ნორმირებული მომარაგება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, მათ შორის ჭარხლის დამზადების „დასაქონლიანების" წესით. ამასთან დაკავშირებით იზრდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადებითი ფასები. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მომენტი საშაქრე ჭარხლის რაიონების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

საშაქრე ჭარხლის ფასების გადიდებასთან დაკავშირებით პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ რა დანიშნულება მიეცემა ჭარხლის გაყიდვით მიღებულ თანხას. 1933-34 წელში ამ საკითხით არავინ იყო დაინტერესებული. ეს ფული თითქმის მთლიანად და სავსებით ხმარდებოდა გაუყოფელი ფონდების გაფართოებას, კაპიტალურ მშენებლობას. შრომა-დღეზე კოლმეურნეებს ფული თითქმის არ ეძლეოდათ. ეს მით უფრო ახლაა დაუშვებელი, რადგან კოლმეურნე დასაქონლიანების წესით არ მიიღებს არც ხორბალს და არც შაქარს. წლის დასაწყისშივე უნდა ვიანგარიშოთ, რამდენ ფულს მიიღებს კოლმეურნეობა ჭარხლის გაყიდვით და დავადგინოთ, როგორც წესი, რომ თანხის უდიდესი ნაწილი ხელზე მიეცეს კოლმეურნეს შრომა-დღეების მიხედვით. ეს იქნება იმის უდიდესი სტიმული, რომ გაიზარდოს მოსავლიანობა, განმტკიცდენ კოლმეურნეობები, გადაიქცნენ ისინი ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეები — შეძლებულებად.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტმა და საქ. კომპარტიის (ბ) ცეკამ ამხ. **ბერიას** ხელმძღვანელობით, პარტიის გენერალური ხაზის გადაჭრით და განუხრელად გატარებით, ძველი პარტიული ხელმძღვანელობის დროს დაშვებული შეცდომები საბოლოოდ აღმოფხვრა. საკოლმეურნეო მშენებლობა საბოლოოდ განმტკიცდა და კოლმეურნეები მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ შეძლებულ ცხოვრებისაკენ.

კოლმეურნეობათა ახალი წესდების დამუშავება

მჭიდროდ დავუკავშიროთ თესვისათვის სანიმუშოდ მომზადებას

„გთხოვთ მიგვიღოთ კოლმეურნეობაში"

(წერილი ჩხარის რაიონიდან)

ჩხარის პარტრაიკომმა დიდი მუშაობა ჩაატარა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დასამუშავებლად კოლმეურნეებსა და მშრომელ გლეხების ფართო მასებში.

ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სათანადოდ გაშლის შედეგად ჩხარის რაიონის **კოლმეურნეობებს** კიდევ **შეემატა 150 ახალი წევრი.**

მშრომელი გლეხების დიდი ნაწილი შესულია კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობების გარეშე დარჩენილები ყოველდღიურად წერენ განცხადებებს. ეს განცხადება ჩვეულებრივ ასე თავდება: **„გთხოვთ მიგვიღოთ კოლმეურნეობაში აქტიურ წევრებადო".**

სოფ. ღვანკეთის მშრომელი გლეხები: **დავით ბურცხრიკიძე, ბიქტორ კუბალაშვილი, ვანო ასათიანი, შალვა ყიფიანი, გრიშა ობოლაძე, ილამერი გაჩეჩილაძე, ვალერიან გამეზარდაშვილი, კირილე კუბულაშვილი, ექვთიმე რობაქიძე, ილია რობაქიძე, და კალისტრატე ქარქაშიძე** — უკვე შევიდნენ კოლმეურნეობაში. მათ განასაზოგადოვეს მუშა-პირუტყვი, სათესი ფართობი, და ვენახის ნაწილიც.

კოლმეურნეობებისაკენ ასეთ მისწრაფებას აქვს ადგილი სოფ. **ხიმონეთსა და ეწრისში** აქ კოლმეურნეობებს შეემატა 30 ახალი წევრი. გარდა ამისა სოფ. ძევრის კოლმეურნეობაში შევიდა 5 კომლი, ზედა-აზონში — 5, გოდანში — 5, როფორთში — 7 და სხვ. განცხადებების შეტანა და ახალი წევრების მიღება გრძელდება.

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ ჩხარის რაიონის მშრომელი გლეხები საბოლოოდ დარწმუნდნენ კოლმეურნეობათა უპირატესობაში ერთპიროვნულთან შედარებით. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებამ და დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე ამხ. **იაკოვლევის** მოხსენებამ სას. სამ. არტელის წესდებაში ახალი ცვლილებების შეტანის შესახებ შექმნა დიდი სტიმული კოლმეურნეობებში შესვლისათვის.

რაიონის პარტორგანიზაციების ამოცანაა — კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ურყევად განხორციელებისა და საგაზაფხულო სას. სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

არ. ჩხაიძე.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

(გურჯაანის რაიონი)

პარტიის რაიონული კომიტეტის და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით და ადგილებისადმი დახმარებით ძირითადად უკვე გამოსწორებულია საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში დღემდე არსებული დეფექტები.

„კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილის საფუძველზე რაიმიწგანს კატეგორიული წინადადება მიეცა დაეზუსტებია რემონტის მიმდინარეობის და სათესლე მასალის დაჯავშნის ცნობები, რაც უკვე შესრულებულია. 17 თებერვლისათვის მ.ტ.ს.ს. ხაზით ტრაქტორების და მისაბმელი მან.-იარაღების საზამთრო რემონტი დამთავრებული იყო მთლიანად, მანქანა-იარაღების რემონტის გეგმა შესრულებულია აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეობებშიც.

უკვე დაწყებულია და **დამკვრელი ტემპებით მიმდინარეობს სათესლე ხორბლის დახარისხება-გაწმენდა და შეწამვლა.** ყველა კოლმეურნეობაში გამორკვეულია სათესლე მასალის აღმოცენების უნარი. თესლის შესაწამლი აპარატურა და შხამები აკლია მხოლოდ ორ სას. საბჭოს.

სიმინდის და კარტოფილის თესლის რაოდენობა გამორკვეულია და თესლი დაჯავშნილი. ველისციხის, ახაშნის, კარდანახის, და არაშენდის სას. საბჭოებში **სწარმოებს უვარგისი თესლის გადაცვლა კარგი ხარისხის თესლზე.**

11 თებერვალს სას. საბჭოების და კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, პარტორგების და კოლმეურნეობათა ბრიგადირების გაფართოებულ რაიონულ თათბირზე რაიონული კომიტეტის მიერ თვითეულ საბჭოს, და კოლმეურნეობას მიეცა კონკრეტული დავალება მათი მოვალეობის შესახებ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებასა და ხვნა-თესვაში.

თესვის მომზადებაში დახმარების გასაწევად რაიკომის მიერ მობილიზებულია და მიმაგრებული საბჭოებზე რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის წევრები და პასუხისმგებელი ამხანაგები რიცხვით 23 კაცი.

მუშა-პირუტყვის მდგომარეობა შემოწმებულია. ხარები გაძლიერებულ კვებაზეა გადაყვანილი დამატებით 11 კოლმეურნეობაში.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უფრო ორგანიზებულად დავრაზმოთ ადგილობრივი ძალები და ვადაზე შევუდგეთ როგორც საგაზაფხულო ხვნას ისე თესვას.

ვ. ჟოჭუა.

ჩაის სამუშაოთა გეგმის შესრულება საბჭოთა მეურნეობებში

15 თებერვლისათვის

(ჰექტარებში)

საბჭოთა მეურნ. დასახელება	საზამთრ. გადაბარვა		მინერ. სასუქ. შეტანა		ჩაის ბუჩ. გაფორმება	
	1 კვარტ. გეგმა	შესრულ. %%	1 კვარტ. გეგმა.	შესრულ. %%	1 კვარტ. გეგმა.	შესრულ. %%
სალიბაური	72,2	93,5	72,2	93,5	11,4	25,4
გომი	48,3	—	48,3	—	—	—
ბაქვი	236,7	79,3	236,7	84,6	86.6	37,4
ოჩხამური	350	94,6	350	94,6	649	4,2
ლაითური	200	97,5	175	72	704,4	1,1
ნასაკირალი	357	65,8	277	44,4	578,9	8,6
ხობი	199,5	55,1	151,1	72.8	401,5	6,2
დიდიჭყონი	334,8	15,2	194,8	4,6	602,3	—
ლესიჭინე	39,6	101	39,6	30,3	131,7	—
ნარაზენი	414	59,4	300	61	873,8	—
ჯოლევჯიანი	81,6	100,5	71	84,5	339,5	—
წალენჯიხა	155	201	155	18,7	669,5	8,8
აჩიგვარა	359	44	359	46,8	768,2	2,5
კოდორი	91,5	45,7	93	87,1	191,4	—
სულ	2.939,2	65,8	2522,7	59,4	6062,5	8,5

61 ახალი კოლმეურნეობა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების და დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე ამხ. **იაკოვლევის** მოხსენების დამუშავებასთან დაკავშირებით, საქმიწსახკომის არასრული ცნობების მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა რაიონში **ჩამოყალიბდა 61 ახალი კოლმეურნეობა.** აქედან **ყვარელის** რაიონში დაარსდა 11 კოლმეურნეობა, **გურჯაანის** რაიონში — 10, **აფხაზეთში** — 25 კოლმეურნეობა და სხვ.

მიწსახკომის ცნობით, საქართველოს 28 რაიონში **კოლმეურნეობებს შეემატა 4.267 ახალი წევრი.** (ამ რიცხვში შედის ის კოლმეურნეებიც, რომელნიც ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ).

ღარიბ - საშუალო გლეხთა მასების შესვლას კოლმეურნეობებში ადგილი აქვს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სათანადოდ მოწესრიგებული არ არის კოლმეურნეობებში ახალ წევრთა მიღების აღრიცხვა. საჭიროა საქმიწსახკომმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ მდგომარეობას მიაქციონ სერიოზული ყურადღება და უზრუნველყონ კოლმეურნეობებში ახალ წევრთა მიღების და ახლად მოწყობილ კოლმეურნეობების ზუსტი აღრიცხვა.

კოლმეურნეობებში საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის

(თათბირი საქმიწსახკომში)

ამ დღეებში საქმიწსახკომში შესდგა რაიმიწგანების და მტს-ის ინსტრუქტორ-ბუხჰალტრების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქმიწსახკომის მოადგილემ ამხ. **გვარამიამ.**

კოლმეურნეობებში შემოსავალ-გასავლის წლიური ხარჯთაღრიცხვის ახალი ფორმებისა და შედგენის წესებზე მოხსენება გააკეთა საქმიწსახკომის აღრიცხვის სექტორის უფროსმა ამხ. **შ. ჭელიძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქ. მთელ რიგ კოლმეურნ.-ბში შემოსავალ გასავლის წლიური ხარჯთ-აღრიცხვას ზერელედ აყენებენ, ხშირად ფულს ხარჯავენ არა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. მაგალითად, **ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიას** კოლმეურნეობის გამგეობამ 1934 წ. კაპიტალურ მშენებლობაზე დახარჯა 246.300 მანეთი გეგმით გათვალისწინებულ 55.800 მანეთის ნაცვლად. **თელავის** რაიონის **სოფ. ალვანის** კოლმეურნეობის გამგეობამ გასულ წელს კაპიტალურ მშენებლობაზე დახარჯა 32.000 მანეთი ნაცვლად 11.000 მანეთისა. შარშან იყო შემთხვევა, როცა მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამგეობებს არ ჰქონდათ შედგენილი წლიური ხარჯთაღრიცხვა. თელავის რაიონში 65 კოლმეურნეობიდან 1934 წ. ხარჯთაღრიცხვა შედგენილი ჰქონდა მხოლოდ 13 კოლმეურნეობას.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუწე-

○ ○ ○ ○

ამ.-კავკ. [illegible]

○ ○ ○ ○

[illegible]

კოლმეურნეობამ

მომხსენებელი შეჩერდა განუყოფელი ფონდის წესიერად გამოყოფის მნიშვნელობაზე. გასულ წელს **ონის** რაიონში 70 კოლმეურნეობიდან 25-ს სრულიადაც არ გამოუყვია განუყოფელი ფონდი. მსგავსი შემთხვევა წელს აღარ უნდა განმეორდეს.

კოლმეურნეობებში საფინანსო მეურნეობის მოწესრიგებისათვის წელს საქართველოს ყველა კოლმეურნეობაში შემოღებული იქნება ანგარიშწარმოების ორმაგი ახალი სისტემა. გადადგმულია სათანადო ნაბიჯი მოანგარიშეთა კადრების მომზადება-გადამზადებისათვის.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თვითეულ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს ზუსტად შედგენილი ხარჯთაღრიცხვის გეგმა, **კოლმეურნეობათა გამგეობებმა ფული უნდა დახარჯონ ამ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.** ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სარევიზიო კომისიებს. მათ უნდა გააძლიერონ ფხიზელი მეთვალყურეობა ფულების მომჭირნეობით ხარჯვაში. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ზემოხსენებული დეფექტების გამოსწორებით უზრუნველვყოთ ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა 1935 წ. ხარჯთაღრიცხვის წესიერად შედგენაზე.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი. კამათიდან გამოირკვა, რომ კოლმეურნეობებში მოანგარიშეთა შერჩევას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. მოანგარიშეების მოსამზადებელ კურსებზე სწავლების საკითხი მოუგვარებელია. მაგალითად, **აბაშაში** მოანგარიშე-ბუჰჰალტრების მოსამზადებელ კურსებზე ასწავლიან ძველ სათავადაზნაურო წესებს. სამაგიეროდ კურსებზე არ გადიან საკოლმეურნეო ანგარიშწარმოებას.

კავშირში გამოსული ინსტრუქტორ-ბუჰჰალტრები ჩიოდნენ იმაზე, რომ რაიმიწგანი და მტს-ის დირექცია არ ზრუნავს მათთვის ძირითადი საშუალებებზე. ინსტ-

[illegible]

ჰყავს ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი.

თათბირმა ორ დღეს გასტანა. მისი მუშაობა შეაჯამა საქმიწსახკომის მარცვლეულის სამმართველოს უფროსმა ამხ. **შ. ნამგალაძემ.**

თათბირმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი კოლმეურნეობებში საფინანსო მეურნეობის მოწესრიგებისათვის. დასასრულ თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთი გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობათა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის სანიმუშოდ შედგენისათვის.

ალამბარის ლიმონის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელთა მიმართვა

ლიმონტრესტის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშასა და სპეციალისტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

მძიმე პირობებში დავიწყეთ ჩვენ ალამბარის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა, დიდი სიძნელეები იდგა ჩვენს წინაშე დასახული ამოცანის შესრულების საქმეში. ჩვენ ვითვისებდით სრულიად ველურ, ძალიან მთიან ადგილს. ორმოცზედაც უხვად იყო აღმოცენებული იელნარები, გასასა უთოებით ჩირგვნარები.

ალამბარის საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება მოწყობა და მშენებლობა ჩვენ დავიწყეთ 1934 წლის თებერვლის შუა რიცხვებში. საბჭოთა მეურნეობის მშენებლობაში ჩვენ წინაშე დასახული იყო სამი ძირითადი ამოცანა: პირველი - შესრულებია აგროსაწარმოო დავალება ისე, რომ არ გაგვეშვა ვადები. მეორე გაგვეყვანა გზა საბჭოთა მეურნეობიდან ქობულეთ - მახარაძის გზატკეცილამდე ხუთი კილომეტრის მანძილზე და მესამე უზრუნველგვეყო საბჭოთა მეურნეობა საჭირო საცხოვრებელი ბინებით და საწარმოო ფართობით. პირველი ამოცანა ჩვენ ვადაზე გადავჭერით და გეგმა 46.5 პროც. გადაჭარბებით შევასრულეთ. ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენ ყველა საშუალების გამოყენებით, დავიცავით ყველა აგროწესები. ახლო მდებარე სოფლების ციტრუსოვანი მეურნეობის ისტორიაში ალამბარის საბჭოთა მეურნეობამ პირველად მიიღო ორგანიული სასუქი. სანიმუშო მდგომარეობაში იქნა მოყვანილი ძველი და ახალი ნარგავები, პლანტაციის ფერდობებზე 13 კილომეტრის მანძილზე. გაყვანილ იქნა საცალფეხო ბილიკი. გაფართოვდა ტერასები და ალამბარის საბჭოთა მეურნეობის მწვერვალთა ფერდობებზე 2,60 მ. დიამეტრით ამფითეატრის მსგავსად მწკრივ რიგებად [illegible] და 8.500 ძირი ლიმონის ხე, 15 450 ძირი მანდარინი და 145 ძირი ფორთოხალი.

1934 წლის 18 მარტს დაკვრითი წესით შევუდექით საგზაო მშენებლობაზე. ჩვენ ეს ამოცანა გადავჭერით. არ არსებობდა სამუშაოების არავითარი მექანიზაცია. მაგრამ ჩვენი ნიჩბებით, წერაქვებით და თოხებით, ჩვენი კოლმეურნეებისათვის დამახასიათებელი ენერგიით და ენთუზიაზმით ალამბარელთა დაუღალავად [illegible] სამხრეთ-ოსეთის და გორის რაიონის კოლმეურნეთა ბრიგადები ამოცანა გადაჭრილ იქნა. 1934 წლის 15 მაისს ე. ი. საგზაო სამუშაოების დაწყებიდან მე-57 დღის. 5 კილომეტრის მანძილზე ავტომანქანებმა, რომლებმაც [illegible] ყველა 15 ხიდი. მოიტანეს პირველი ტვირთი ალამბარის საბჭოთა მეურნეობის ცენტრში.

გაცხოველებით სწარმოებდა სამოქალაქო მშენებლობის [illegible] გახსნა, იგეგმებოდა საალმშენებლო [illegible] გეგმაზე. მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები [illegible] მშენებლობის [illegible] დამთავრებით მომავალ ნაგებობათა მოედნებს. [illegible] მდინარე ოხაჩის წინააღმდეგ [illegible] ყვედა იგი ახალ კალაპოტში, რათა მიგვეღო ახალი ფართობები. ძნელი იყო, ამხანაგებო, ჩვენთვის მდინარე ოხაჩის ვიწრო ხეობაში მოთავსება. გადაწყდა თანდათანობით ამ მდინარის დინების გასწვრივ აგვეშენებია ყველა საწარმოო ნაგებობანი, არ იყო გასაქანი ადგილი.

და აი ამ პატარა ხეობაში. სადაც ადგილობრივი გლეხების გადმოცემით, ღამითაც კი ვერავინ ბედავდა მარტო სიარულს. არამედ დადიოდნენ ჯგუფჯგუფად არანაკლებ ხუთი კაცისა. ამ სხვადასხვა ცრუმორწმუნოებით მოკულ „ბოროტი სულებით" ალსავსე ხეობაში ახლა მდებარეობს ალამბარის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო ცენტრი - პურის საცხობი. სამასალო საწყობი. სამჭედლო. გარაჟი, აბანო, სამრეცხაო. ხე-ტყის სახერხი ქარხანა. საწვავი მასალის საწყობი და ალამბარის საბჭოთა მეურნეობის სიამაყე — ჩვენი საჩუქარი სრულიად აჭარისტანის საბჭოების მე-11 ყრილობისათვის — ელექტროსადგური. ძირითადად გადაჭრილია საბინაო საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხი. აგებულია ოთხი საერთო საპლანტაციო სახლი, ორი 76 ოთახიანი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ვერანდებით. აშენებულია აგრეთვე, მზიანი სასადილო, რომელიც ერთსა და იმავე დროს დაიტევს 200 მოსადილეს.

ციტრონის ნაყოფის დათვალიერება მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობაში (აჭარისტანი).

შევაჯამეთ რა 1934 სამეურნეო წლის შედეგები, ჩვენ გადავწყვიტეთ განვაგრძოთ დაკვრითი წესით მუშაობა 1935 სამეურნეო წელს. რათა მივაღწიოთ იმას, რომ გადავაქციოთ ჩვენი ალამბარის ლიმონის საბჭოთა მეურნეობა წამყვან მეურნეობად ციტრუსოვან მეურნეობაში და საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობად ლიმონტრესტის სისტემაში. ჩვენ ვიღებთ ინიციატივას. ვაცხადებთ თავს დამკვრელებად. ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში 1935 წლის საწარმოო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ვიწვევთ ლიმონტრესტის სისტემის ყველა საბჭოთა მეურნეობას.

ჩვენის მხრით ვკისრულობთ შემდეგ კონკრეტულ ვალდებულებებს:

1. გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება 20 პროცენტით და დამტკიცებული საფინანსო გეგმის ფარგლებში გადაჭარბებით შევასრულოთ 1935 წლის საწარმოო დავალება ისე, რომ არ დავუშვათ გადახარჯვა და დავალიანება.

2. შევიტანოთ ორგანიული სასუქი პლანტაციის ყველა ნარგავებზე აგროწესების [illegible] დადგენილ ნორმების თანახმად.

3. მივაღწიოთ მუშათა და სპეციალისტთა ბინების მოწყობას. ავაგოთ ახალი სახლი საბავშვო ბაგისათვის და სანიმუშოდ დავაყენოთ მუშათა ბავშვების მოვლა.

4. უზრუნველვყოთ მუშათა მომარაგება საკუთარი ბაზით. რისთვისაც მოვაწყოთ სამ ჰექტარზე მარცვლეული კულტურების თესვა (ბრინჯი, სიმინდი და სხვ..) მუდმივი მუშებისათვის შევიძინოთ შინაური ფრინველი; საბავშვო ბაგების უზრუნველსაყოფად რძის პროდუქტებით შევიძინოთ ძროხები.

5. მუშათა და სპეციალისტთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ლავოტგათ სტაციონალური კინო-აპარატი. გადავაქციოთ ჩვენი ლენინის კუთხეები სანიმუშო კუთხეებად. გავაფართოვოთ რადიოქსელი იმ ანგარიშით, რომ მოვაწყოთ თითო წერტილი მუშის ყველა ბინაზე. მოვაწყოთ მუსიკალური, თეატრალური და სამხედრო წრეები. მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მუშათა შორის და, პირველ რიგში წვევამდელთა შორის. ზენითის სკოლასთან არსებული ჯგუფის ნაცვლად, თვით საბჭოთა მეურნეობაში მოვაწყოთ სკოლა მოზარდთათვის.

6. იმ მიზნით, რომ გადავაქციოთ პლანტაციები სანიმუშო მეურნეობად. მთლიანად აღმოვფხვრათ გაუპიროვნება; 100 პროცენტით ჩავატაროთ პლანტაციების რემონტი, ჩვენი საბჭოთა [illegible] ბის და საჭიროების მიხედვით გავადიდოთ ცალკეული ნორმები (თოხნის, მკურნალობის [illegible]) დროზე ჩავატაროთ მოსავლის აღება და ყველა საჭირო ღონისძიებანი ნარგავების გამოზამთრებისათვის; ჩავატაროთ ტერასების გამაგრება ყველა ფერდობზე, რომლებიც 15 გრადუსს აღემატება;

7. მოვაწყოთ მუშებისთვის აგროტექნიკის და მშენებლობის ტექნიკის შემსწავლელი წრეები; მოვაწყოთ აგროდახმარება, რისთვისაც შევქმნათ აგროწრეები სოფელ ზენითის ორ კოლმეურნეობაში.

8. უზრუნველვყოთ ელექტრო განათებით მუშათა და მოსამსახურეთა ყველა ბინა და საერთო საპლანტაციო სახლებიც. მივცეთ ელექტრო-განათება სოფ. ზენითის საშუალო სკოლას და ალამბარის საბჭოთა მეურნეობის აჭარელი მუშების [illegible] სახლებს.

9. სანიმუშო მდგომარეობაში მოვიყვანოთ ყოველგვარი სახის არსებული ტრანსპორტი და მისი რაციონალურად გამოყენებით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და სავსებით გამართული შევინახოთ ტრანსპორტის მატერიალური ნაწილი.

10. ასი პროცენტით გავხადოთ საბჭოთა მეურნეობის მთელი შემადგენლობა თავდაცვა-ავიაქიმის წევრებად; ლენინის კუთხეებთან მოვაწყოთ სანიმუშო პრაქტიკული საჰაერო თავდაცვის კუთხეები. ჩავაბათ მთელი შემადგენლობა თავდაცვა-ავიაქიმის წრეებში. 1935 წლის დამლევისათვის ჩვენი შემადგენლობიდან გამოვუშვათ 30 კაცი ვოროშილოველი მსროლელი. 25 კაცი „მზადვარ შრომისა და თავდაცვისათვის" ნიშნის მქონე. აღმოვფხვრათ უცოდინარობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებში. უზრუნველვყოთ ლენინის კუთხეები სამხედრო ლიტერატურის, ჟურნალების და გაზეთების საჭირო რაოდენობით.

11. ჩავატაროთ საბჭოთა მეურნეობის კომიდამოს გამწვანება დეკორატიული და სხვა სახის მცენარეებით — ისე, რომ არ დავხარჯოთ ამაზე რაიმე სახსრები.

★

ასეთია ჩვენი ძირითადი ვალდებულებანი და ის ღონისძიებანი, რომელთა გატარებასაც ვკისრულობთ ჩვენ 1935 წლის საწარმოო დავალებათა მთლიანად და ხარისხობრივად შესრულებისათვის.

ჩვენი მეურნეობის თვითეული მუშა. მუშა ქალი.—პარტიული. კომკავშირელი და უპარტიო. რიგითი მომუშავენი და სპეციალისტები ამჟამად გამსჭვალულნი არიან იმ მიზნით. რომ **შევინარჩუნოთ 1934 წელს მიღწეული შედეგები და ვიბრძოლოთ ბოლშევიკურად. რათა გადავაქციოთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობა სამაგალითო მეურნეობად ლიმონ - ტრესტის მეურნეობებს შორის.**

„კომუნისტის" თვითმფრინავებით ბაქოს პროლეტარებთან

დასავლეთისაკენ მიწურული მზის სხივები სათუთად ეალერსებოდნენ კასპიის ზღვის ტალღებს, როცა ჩვენი თვითმფრინავები შავი ოქროს ქალაქს—ბაქოს მიუახლოვდნენ. ორი უკანა თვითმფრინავის კაბინებში მოთავსებულებს წინ გვეწყო ბაქოს პროლეტარების მისასალმებლად ქალაქში გადასაყრელი ფურცლები. წინასწარი მოლაპარაკების თანახმად პილოტებს ხელის მაღლა აწევით უნდა ენიშნებიათ ფურცლების გადაყრის დრო.

ბორის მელნიკოვმა ხელი მაღლა ასწია და წავიდა ქართა ქალაქის ქუჩებისა და მოედნებისაკენ მისასალმებელ ფურცელთა დასტა. ჩვენი გადაფრენის ხელმძღვანელი ამხ. სერგო მეგრელიშვილი წინამძღოლი თვითმფრინავიდან ამოწმებდა ფურცლების გადაყრის „ხარისხს". იგი კმაყოფილი დარჩენილა, როცა ქალაქზე მეორე წრის გაკეთებისას შეუმჩნევია, რომ გადაყრილ ფურცლებს მოედნებზე ხალხი ფუტკარივით დაეხვია.

რამოდენიმე წუთის განმავლობაში ბაქოზე ფრენამ ამოსწურა ჩვენი ფურცლების ტირაჟი. თვითმფრინავებმა გასწიეს ბაქოს აეროპორტისაკენ.

2 საათისა და 40 წუთის წინათ ტფილისიდან გამოფრენილებს უკვე გაგვევლო 500 კილომეტრზე მეტი და ბაქოში ვიყავით.

ბაქოს აეროვაგზალთან ორი ავტო მოვიდა. ბაქოს გაზეთების რედაქციებს სწორედ 20 წუთის წინათ მიეღოთ ტფილისიდან დილის 9 საათზე გაგზავნილი დეპეშა-ელვა და გამოქანებულიყვნენ აეროპორტზე ჩვენს შესახვედრად. მოვიდნენ, გაგვეცნენ, გამოგველაპარაკნენ და გადმოგვცეს, რომ ჩვენ შესახვედრად წამოსული ყოფილან ბაქოს თითქმის ყველა გაზეთის წარმომადგენლები, მაგრამ მათ გამოასწრეს სხვებს და სურთ სასწრაფოდ მიიღონ ინფორმაცია ჩვენი ესკადრილიის გადაფრენის შესახებ, რათა ხვალინდელ გაზეთებშივე მოასწრონ ცნობების დაბეჭდვა.

ჩვენი ტელეგრაფის ცუდი მუშაობის წყალობით, იძულებული გავხდით აქ გვეცადა მასპინძლებისათვის.

—ესეც შენი დეპეშა-ელვა, რომელსაც 7 საათის განმავლობაში ღირს მიეღწია ბაქოში—ამბობდა ამხ. მეგრელიშვილი. ჩვენმა თვითმფრინავებმა კი 2 საათსა და 40 წუთში განვლეს იგივე მანძილი...

ცოტა შევისვენეთ და ბაქოდან მოგრიალდნენ ჩვენთვის გამოგზავნილი ავტომანქანები.

მე და ჩვენი გადაფრენის ხელმძღვანელი ერთი მანქანით მივქროდით შესანიშნავ, ასფალტირებულ გზატკეცილზე. ჩვენი მანქანის შოფერი, სჩანს. ძალიან კმაყოფილია, რომ მოუხდა მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრების გატარება სახელოვან 26 კომისრის ქალაქისაკენ.

ბაქო! რა შესანიშნავი ყოფილხარ, რევოლუციური მოძრაობის შარავანდედიანო ქალაქო! ახლა მესმის, თუ რატომ უჭირავს აქეთ ცალი თვალი სერ დეტერდინგს „როიალ - შელლის" სულის ჩამდგმელს ნავთის მეფეს, კაპიტალისტს და ჩვენი დიდი ქვეყნის ფიცხ-მტერს. ახლა მესმის, თუ რატომ მიჩქარავდა იგი ჯადოქრულ მახინაციებს იმისათვის, რომ საბჭოთა ნავთი, ბაქოს ნავთი „ნაქურდალად" ეღიარებიათ მთელ მსოფლიოში.

მაგრამ გარწმუნებთ, მკითხველო, ჩვენმა მტრებმა ევროპის და სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციონური ნაწილიდან რომ ნახონ დღევანდელი ბაქო, რომ ნახონ ნავთის ახალი სარეწაოები, მუშათა საცხოვრებელი ახლად გაშენებული უბნები, რომ ნახონ და გაეცნონ ყველა იმ ღონისძიებებს, რომელსაც პარტია და ხელისუფლება მიმართავს ნავთის სარეწაოთა პროლეტარების ყოფა-ცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად, რომ ნახონ, თუ როგორ ცხოვრობენ ახლა ეს პროლეტარები — იმედგაცრუებული დარჩებიან, ალბათ თითონაც იტყვიან, თუ არ იტყვიან დარწმუნდებიან, რომ გათავდა.. მორჩა ოცნება ინტერვენციაზე, საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს.

ბაქოს აეროპორტი ქალაქს თითქმის 40 კილომეტრით არის დაშორებული. მივდივართ ქალაქისაკენ, და თვალს ახარებს ასფალტიანი გზატკეცილების ქსელი, რომელიც ბადესავით გადაშლილა ნავთის სარეწაოებსა და მუშათა საცხოვრებელ უბნებს შორის. გზებზე ელვასავით დაშხუილობენ ავტომანქანები. ასეთი მოძრაობა მარტო მოსკოვის ქუჩებზე მინახავს. ავტობუსები, ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები, საბარგო ავტომანქანები, ელექტრო-მატარებლები. ფეხით გზატკეცილზე სიარული სახიფათოა და არც არავინ დადის. ამისი საჭიროებაც არ არის. არტაშას გადმოცემით ბაქოს ნავთის სარეწაოზე რამოდენიმე ასეული ათასი მუშა მუშაობს. მთელი ეს არმია სარეწაოებიდან საცხოვრებელ ბინებამდე და უკან გადაჰყავთ შესანიშნავი, ლამაზი ავტობუსებით.

ბაქოს მახლობლად მთელი რიგი ქალაქებია გაშენებული. არის უბნები ამ ქალაქებში, სადაც ცათამბჯენი შენობები აუგიათ. ამ შენობებში მოთავსებულია კულტურული დაწესებულებები და მათ ეძახიან — „კულტურის სასახლეებს". ცათამბჯენი კვარტალების გაყოლებაზე ბაღჩებიანი კოტეჯებია გაშენებული. თვითეულ შენობაში მხოლოდ 3—4 ბინაა მოთავსებული, მაგრამ ამავე დროს თვითეული ბინა თითქოს ცალკე სახლს წარმოადგენსო. რამდენიც ბინაა, იმდენი საკუთარი ეზო, საკუთარი ბაღ-ბოსტანი ეზოში. ასე ლამაზად, ასე სუფთად ნობელების უერთგულესი მოურავებიც არ ცხოვრობდნენ.

მაგრამ კიდევ შეამჩნევს თვალი აქა-იქ ბაქოს მუშების განვლილი დუხჭირი ცხოვრების ნაშთებს—დაბალ მიწურ სახლებს, სადაც ამჟამად მუშათა ოჯახების შინაური ფრინველი (ქათამი, ბატი, ინდაური) და სხვა შინაური საქონელი მოუთავსებიათ. ნობელების და მანთაშოევების დროს კი ამ სახლებში სარეწაოების მუშები ცხოვრობდნენ.

⁂

საქართველოდან ჩაფრენილი სტუმრები თურქული გაზეთის „კომუნისტის" რედაქციაში მიგვიწვიეს. აქ, ჩვენი ესკადრილიის ჩაფრენის აღსანიშნავად მოწვეული იყო თათბირი, რომელზედაც უნდა შემუშავებულიყო ესკადრილიის თვითმფრინავების უფრო ეფექტიურად გამოყენების გეგმა. თათბირზე ამხ. ს. მეგრელიშვილმა აღნიშნა „კომუნისტის" ესკადრილიის ბაქოში ჩასვლის მიზანი და განაცხადა, რომ ქართულმა „კომუნისტმა" გადასწყვიტა პრაქტიკულად დაეხმაროს ბაქოს გაზეთებს მათი ესკადრილიის აგებისათვის აგიტაციის გაწევით. თათბირზე გამოირკვა, რომ თურქული „კომუნისტი" აგებდა ამხ. კიროვის სახელობის ერთ დიდ თვითმფრინავს და საამისოდ მას უკვე შეგროვილი აქვს 25.000 მანეთამდე; იმავე თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ გაერთიანდნენ ბაქოს გაზეთები—თურქული „კომუნისტი", სომხური—კომუნისტი" და „ბაკინსკი რაბოჩი" და ერთად ააგონ ესკადრილია. გადასწყდა ამასთანავე, რომ მეორე დღეს, ე. ი. 8 თებერვალს, ბაქოს აეროდრომზე გამართულიყო „კომუნისტის" ესკადრილიის მოფრენის აღსანიშნავი საავიაციო ზეიმი, მოეყვანათ ამ ზეიმზე დასასწრებლად ნავთის სარეწაოთა დამკვრელები და გაერთიანებული ესკადრილიის მშენებლობის დაწყების შესახებ საკითხი აქ დაეყენებიათ.

8 თებერვალს აეროდრომზე მოვიდნენ ნავთის სარეწაოთა წარჩინებული დამკვრელები, სტამბების მუშები, პრესის მუშაკები. გამართულ მიტინგზე ერთხმად მიიღეს წინადადება ბაქოს გაზეთების ნაკრები ესკადრილიის მშენებლობის დაწყების შესახებ. მუშებმა იქვე გაიღეს თავის წვლილი.

გაიმართა „საჰაერო ნათლობა". მთელი ბაქოს პროლეტარიატი იცნობს ჰუსეინ იშმან-ოღლის, არსენ ვანესოვს, სერგეი შმიკოვს, როგორც სასახელო დამკვრელებს, სამაგალითო მუშებს, წარჩინებულებს. ვანესოვისა და მისთანა სასახელო დამკვრელების გვარები მოიხსენია თავის მოხსენებაში საბჭოების მეშვიდე ყრილობაზე ჩვენი მძიმე მრეწველობის სახელოვანმა მთავარ სარდალმა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ. ვანესოვი და მისი სახელოვანი კოლეგები კი არასოდეს მჯდარან თვითმფრინავზე. „კომუნისტის" თვითმფრინავებს ათეულ სხვა დამკვრელებთან ერთად ისინიც უნდა აეყვანა ჰაერში. აგუგუნდნენ ჩვენი მოტორები და ჩქარა სამი თვითმფრინავი აიჭრა მაღლა მოწმენდილი ცის მტრედისფერ სიღრმეში.

პირველი აფრენისას თვითმფრინავებს მოხალისენი აჰყვნენ ჰაერში. ჰუსეინ იშმანოღლი უკან დამდგარიყო და ყოყმანობდა. ამ დროს გამოაცხადეს, რომ თვითმფრინავები მიდიან ჰაერში საპატიო რეისზე და მიჰყავთ ბაქოს პროლეტარების წარჩინებულებიო. ჰუსეინი მოვიდა და სათვალებიანი ჩაფხუტი მთხოვა. ვათხოვე, მოვაწყე. ჩავსვი თვითმფრინავის კაბინაში და დავუდასტურე, რომ არავითარი საფრთხე მას არ მოელის...

თვითმფრინავები ხელახლა მოსწყდნენ მიწას და ექვსი წარჩინებული დამკვრელი ჰაერში გაიტაცეს. 10 წუთის შემდეგ წარჩინებულები გადმოდიოდნენ კაბინიდან. ჰუსეინმა ღიმილით მიაშურა ჩვენი გადაფრენის ხელმძღვანელისაკენ:

— იოლდაშ, სერგო! ძალიან ჩქარა გაირა ამ ათმა წუთმა. თუ შეიძლება კიდევ გამაფრინეთ. კარგი ყოფილა ფრენა, უჰ, რა კარგი ყოფილა...

— ფრენა უსათუოდ კარგი და სახალისოა, უპასუხა ჰუსეინს ამხ. მეგრელიშვილმა და ამიტომ მოგიწოდებთ საქართველოდან ჩამოსული ამხანაგები, რომ ააგოთ საკუთარი თვითმფრინავებიო.

დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ეზიდებოდნენ ჩვენი თვითმფრინავები ჰაერში სასეირნოდ წასულ დამკვრელებს. აზერბეიჯანის სახელმწიფო კინომრეწველობის ოპერატორებს და ბაქოს გაზეთების ფოტოგრაფებს ამ დღეს ბევრი სამუშაო ჰქონდათ.

აეროდრომზე გამართული ზეიმი დამთავრდა თვითმფრინავების დათვალიერებით. პილოტები განმარტებებს აძლევდნენ დამსწრეებს.

— რატომ ფრინავს თვითმფრინავი?

— რა უნდა ქნათ ჰაერში, რომ მოტორი გაჩერდეს?

— რამდენ კილომეტრს გადის საათში თქვენი თვითმფრინავი?

მრავალგვარ ასეთ კითხვებს იძლეოდნენ ცნობისმოყვარეები და ჩვენ პილოტებს უხდებოდათ ყოველი კითხვის საპასუხოდ პოპულარული განმარტებების მიცემა.

საღამოს 5 საათი გახდა და ხალხით დატვირთული ავტომობილების ქარავანი დაბრუნდა ქალაქისაკენ.

⁂

9 თებერვალს დილით ბაქოში საშინელი ქარი ამოვარდა. ტყუილად კი არ ეძახიან ბაქოს—ქართა ქალაქს. თოვლი არსად ჩანს, მაგრამ ქარი მაინც ცივია — ავტომობილებით მიმავლებს ძვალსა და რბილში გვატანს ეს სიცივე. ჩვენს დღევანდელ თვითმფრინავებს ასეთი ქარი ვერაფერს დააკლებს, მაგრამ ჩვენ ვკითხოთ. ამ თვითმფრინავებზე მჯდომებმა — მით უმეტეს არც ისე თბილად ვართ ჩაცმული. შესაფერად ჩაცმულები რომ ვყოფილიყავით, მაშინ ამ გარემოებას ყურადღებაში არ მივიღებდით ჩვენ რომ ათასჯერ უარეს ქარიშხალში გამოგვივლია რუსეთის [illegible] ველები.

თვითმფრინავები აჭრიალდნენ ჰაერში. მტკიცე კურსით გასწიეს დასავლეთისაკენ. ჩვენ უნდა გადაგვევლო აზერბეიჯანის შემახის რაიონებზე ქარი უხეშად გვაწვებოდა და ზოგან ნისლი გვილობავდა გზას.

ბაქოდან გამოფრენილებმა 15 წუთის შემდეგ მივადექით იმ ადგილს, სადაც ქრება ამაყი კავკასიონის მთაგრეხილი. ტფილისიდან, როცა ბაქოსაკენ მიფრინავ, კავკასიონის ქედის სიკვდილის მოწამე ხდები. ევლახიდან აღმოსავლეთისაკენ მთაგრეხილების კორტოხები თანდათან პატარავდებიან მთაგრეხილი კარგავს თავის გრანდიოზულობას. ჩივდება და რამოდენიმე ხნის შემდეგ პატარა ბორცვებად იქცევა. ცოტა ხანიც და ქედის პეიზაჟი ტრამალის პეიზაჟად იცვლება.

შემოვიჭრალეთ თითქმის მთელი აღმოსავლეთი აზერბეიჯანი და დავეშვით ევლახის აეროდრომზე. ტფილისის აეროპორტს რადიოთი შეეტყობინებინა ევლახში, რომ დაბალი ნისლია და თვითმფრინავებს ვერ მივიღებთო. ვიცადეთ ორი საათი, დავნაყრდით და დავისვენეთ. გამოდარების ცნობა, არ მოდიოდა.

სერგო მეგრელიშვილს, ჩვეულებრივ დინჯსა და წყნარ ადამიანს, მოუსვენრობა დაეტყო.

— ბიჭო. შალიკო, მოი აქ! დაუძახა მან ჭანკოტაძეს. შალიკო მივიდა.

— ამდენი ჭაძახი, ბიჭო, ამისთანა კაი თვითმფრინავებით, დაბალმა ნისლმა უნდა შეგვაშინოს? მიუძვათ, ბიჭო ტფილისისაკენ, მივაწვეთ ამ ტიალ ნისლს და ჩავალთ. არ უნდა ამას ჭრიჭინი, ოხუნჯობდა სერგო.

ბოლოს გადაწყდა მაინც გაფრენილიყავით ტფილისში. არ მიგვიღებენო, ამბობდა ჭანკოტაძე.

ევლახიდან ტფილისამდე 250 კილომეტრამდე მანძილია. ეს მანძილი ჩვენ ერთ საათსა და რამოდენიმე წუთში გავიარეთ. ვტრიალებდით ტფილისის აეროპორტის თავზე, მაგრამ მიწა არ სჩანდა. ბოლოს თვითმფრინავებმა იმდენი იტრიალეს, რომ ხელოვნური ქარით თითონვე გარეკეს ნისლი და გამოჩენილ მიწის ნაგლეჯებზე ყველანი მშვენივრად დავეშვით.

დ. ლომთაძე.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

გოგლიძე შესანიშნავად იცავდა თავს

(მოსკოვი. გადმოცემულია ტელეგრაფით)

დღეს პირველ დაფას უსხედან მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **კაპაბლანკა** და ამიერ-კავკასიის ჩემპიონი **ვიქტორ გოგლიძე.** იქვე გვერდით ლასკერი რკინისებური სიმტკიცით უტევს ახალგაზრდა ჩეხოვერს. წინანდელ საღამოებისაგან განსხვავებით. როცა დამსწრეთა დიდი რაოდენობა თავს იყრიდა ტურნირის ფავორიტების ბოტვინიკისა და რიუმინის პარტიების გარშემო. დღეს დამსწრეთა მთავარი ყურადღება მიპყრობილია პირველ და მეორე დაფებისაკენ. ლასკერი განსაცვიფრებლად თამაშობს, ამჟღავნებს თავის ყოფილ ძლიერებას. დღეს კაპაბლანკამ უნდა გამოასწოროს თავისი თამაშის არაბრწყინვალე დასაწყისი ამ უძლიერეს ტურნირში, გოგლიძე თამაშობს შავებით. ასეთ მდგომარეობაში ერთადერთ სწორი გზა—შეუპოვარი თავდაცვა.

მდგომარეობა მათ თანაბარი აქვთ. დამსწრეთა შორის ისმის ჩურჩული: „მდგომარეობა თანაბარია, მაგრამ მოთამაშეები არ არიან თანაბარნი".

ყველა მონაწილეთა შორის გოგლიძე ყველაზე ნაკლებად არის ვარჯიშ[illegible]ლი მოსკოველები და განსაკუთრებით ლენინგრადელები ამ მხრივ უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე გოგლიძე, რომელსაც ტფილისში არ ჰყავს ისეთი პარტნიორები სავარჯიშოდ, როგორც მოსკოვისა და ლენინგრადის ოსტატებს. მაგრამ დღევანდელ პარტიაში ყველას აკვირვებს გოგლიძის სწორი. ზუსტი თავდაცვა დიდ კაპაბლანკას ძლიერი და თანამიმდევარი შეტევისაგან მე-33 სვლაზე პარტია დამთავრდა ყაიმით.

ტურნირის მონაწილეები გულთბილად ულოცავენ გოგლიძეს.

მე და „კომუნისტის" კორესპონდენტმა ამხ. კარამურზამ მივმართეთ მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს თხოვნით—გამოეთქვა თავისი აზრი ამ პარტიის შესახებ. კაპაბლანკა აცხადებს: „გოგლიძე შესანიშნავად იცავდა თავს. ის ძალიან ნიჭიერია და ქვეყანას, რომელმაც ის გამოგზავნა ამ ტურნირზე, თამამად შეუძლია იამაყოს მით".

კაპაბლანკას ეს განცხადება ელვის სისწრაფით მოედო ხელოვნებათა მუზეუმის დარბაზებს. კაპაბლანკას გარს ახვევიან უცხოელი ჟურნალისტები. ის მომღიმარი სახით ლაპარაკობს ფრანგულ ენაზე და მის სიტყვაში ყოველ წუთში ისმის გოგლიძის გვარი.

პაოლო იაშვილი.

იპოვეს ამხ. გოლუბევის თვითმფრინავი

მფრინავი გოლუბევი.

არხანგელსკი, 19 თებერვალი. თვითმფრინავების [illegible] ხელმძღვანელობს. დღეს აღმოაჩინა გოლუბევის თვითმფრინავი და მგზავრი კუზნეცოვი. [illegible] დაინახა მას გადაუგდეს [illegible], სურსათი და [illegible] შესახებ [illegible] დილით მას წაიყვანს თვითმფრინავი „უ—2", რომელიც [illegible] თვითმფრინავებიდან [illegible] აღმოაჩინეს. [illegible] (ადს)

ამხ. გოლუბევის დეპეშა

არხანგელსკი. 19 თებერვალი. გუშინ [illegible] მფრინავ გოლუბევისაგან ბორტ-მექანიკოს კავიორზნევისა და მგზავრ კრუშკოვისაგან მიიღეს შემდეგი დეპეშა, რომელიც [illegible]

„[illegible] თებერვალს [illegible] დიდი [illegible] მოტორის [illegible] თვითმფრინავს [illegible] [illegible] თვითმფრინავი „უ-2" ჩვენ სამი კაცი 18 დღის განმავლობაში [illegible] თვითმფრინავის [illegible] 18 თებერვალს ჩვენ [illegible] არხანგელსკის საქალაქო რკინისგზის საგარეუბნო მეურნეობის [illegible] თვითმფრინავი „სტალ—2" დაშვება იქნის ტბაზე 16 კილომეტრი [illegible] შესაძლებელია [illegible] ლეიბი. [illegible] არხანგელსკში [illegible] [illegible] კოლუბევის და კავიორზნევის [illegible] თქვენი ბოლშევიკური დახმარების"

დეპეშა [illegible] გოლუბევის თვითმფრინავის ეკიპაჟი აღმოაჩინა [illegible] ხაპირზე.

დილის 10 საათსა და 40 წუთზე არხანგელსკის აეროსადგურის უფროსმა საკავშირო დეპეშით საგენტოს [illegible] კოლუბევის თვითმფრინავის ეკიპაჟის [illegible] შესახებ [illegible] შემდეგი.

—დილის 10 საათზე მფრინავი გოლუბევი [illegible] ბორტ-მექანიკოსი კავიორზნევი და მგზავრი კრუშკოვი [illegible] მოიყვანეს არხანგელსკში. გოლუბევის [illegible] დაშვების ადგილზე გაფრინდება [illegible] თვითმფრინავი [illegible] არხანგელსკში გოლუბევის თვითმფრინავზე დარჩენილი მგზავრი კუზნეცოვი (ადს)

ამხ. გოლუბევი არხანგელსკში

არხანგელსკი. 19 თებერვალი. [illegible] აეროდრომიდან მოიყვანეს ამხ. გოლუბევი, კავიორზნევი და კრუშკოვი. მგზავრი კუზნეცოვი [illegible] თავის თანამგზავრებმა დატოვეს ავარიის ადგილზე. [illegible] მათ [illegible]

ერთად სიარული მას დაუტოვეს მოტორის [illegible] ტყავის ჩექმები, ქურქი და სურსათის ექვსი დღის მარაგი, ცეცხლის გასაჩაღებლად დაუტოვეს ხის ტოტები [illegible] ზეთი და [illegible]

დიდი დაღლილობის მიუხედავად, ამხ. გოლუბევი და მისი თანამგზავრები მხნედ გამოიყურებიან. ისინი მხურვალე მადლობას უცხადებენ იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს.

ამჟამად ისინი მოთავსებული არიან [illegible] პოლიკლინიკაში (ადს)

საექიმო დასკვნა ამხ. გოლუბევის თვითმფრინავის ეკიპაჟის ჯანმრთელობის შესახებ

არხანგელსკი, 19 თებერვალი. არხანგელსკის ცენტრალური პოლიკლინიკის დირექტორმა ამხ. ხაბაროვმა საკავშირო [illegible] ტელეფონით გადასცა ცნობა მფრინავ გოლუბევის, ბორტ-მექანიკოსის კავიორზნევის და მგზავრ კრუშკოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

„[illegible] წინასწარი [illegible] დავასკვენით, [illegible] ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. [illegible] არ არიან [illegible] განიცდიან [illegible] სისუსტეს, რაც აიხსნება იმით, რომ [illegible] მოუხდათ მშიერი ყოფნა. (ადს)

* * *

ვლადიმერ ნიკიტას-ძე **გოლუბევი** დაიბადა 1889 წელს გლეხის ოჯახში. წითელი არმიის რიგებში სამსახურის შემდეგ [illegible] იგი მოხალისედ შევიდა. გოლუბევმა დაამთავრა მფრინავთა [illegible] სკოლა მფრინავად. ამხ. გოლუბევი მუშაობს 1929 წლიდან 1932 წლამდე იგი მუშაობს **ბარანოვის** სახელობის სკოლაში. შემდეგ გოლუბევი მუშაობს [illegible] ურალის განყოფილებაში [illegible] ხაზზე [illegible] ამხ. გოლუბევი ფრინავდა სხვადასხვა კონსტრუქციის თვითმფრინავებით. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სისტემაში მუშაობის დროს ამხ. გოლუბევს ფრენით გავლილი აქვს დაახლოებით 400.000 კილომეტრი.

ზაჰესის სადგურზე მომხდარ მარცხში დამნაშავენი

სამართალში არიან მიცემულნი

ა.-კ. რკინის გზის დარგების უფროსთა თათბირმა დაამთავრა ზაჰესის სადგურზე 17 თებერვალს სამგზავრო მატარებლის მარცხის საქმის განხილვა და თავისი დასკვნა გამოიტანა.

თათბირმა გამოარკვია მარცხის შემდეგი დაწვრილებითი ცნობები. სატვირთო მატარებელი № 666 (ორთქლმავალი № 1455 ობ, მემანქანე **ნანობაშვილი**, მემანქანის თანაშემწე **დართმელაძე**, და მთავარი კონდუქტორი **შენგელია**) 15 ცალიერი ვაგონის შემადგენლობით, რომელიც ავჭალის სადგურიდან 5 საათსა და 53 წუთზე გამოვიდა (ტენდერით წინ), ზაჰესის სადგურზე მივიდა 5 საათსა და 57 წუთზე. გამოსასვლელ ისარზე იგი დაეჯახა მცხეთის სადგურიდან 5 საათსა და 45 წუთზე გამოსულ № 103 სამგზავრო მატარებელს. შეჯახებისაგან № 103 მატარებლის ორთქლმავლის ტენდერი შეიჭრა საბაგაჟო ვაგონში. ხოლო უკანასკნელი შეიჭრა პირველ საკლასო ვაგონში და ლიანდაგიდან გადავარდა. დაჯახების შედეგად დაზიანებულია ორთქლმავლები და მოძრავი შემადგენლობა, მოკლულია № 103 მატარებლის მთავარი კონდუქტორი და ერთი მგზავრი ქალი, დაჭრილია 12 მგზავრი. დაჭრილთა შორის არიან სატვირთო მატარებლის ორთქლმავლის მემანქანე ნანობაშვილი და მისი თანაშემწე დართმელაძე. მარცხს შედეგად მოჰყვა მოძრაობის შეწყვეტა 7 საათით. მარცხით გამოწვეული ზარალი უდრის 70.000 მანეთს.

თათბირმა გამოარკვია, რომ მარცხი ზაჰესის სადგურზე იყო ტექნიკური ექსპლოატაციის წესების და სატვირთო მატარებლის ბრიგადის შრომის დისციპლინის მეტად უხეშად დარღვევის შედეგი.

ამ მატარებლის მემანქანე ნანობაშვილს და მის თანაშემწე დართმელაძეს ავჭალა-ზაჰესის გადასარბენზე და ზაჰესის სადგურის საკონტროლო ბოძის გავლისას მატარებელი გადიდებული სიჩქარით მიჰყავდათ როგორც ირკვევა. მემანქანე ნანობაშვილს და მის თანაშემწეს [illegible] № 666 მატარებლის მთავარი კონდუქტორი შენგელია დამნაშავეა იმაში, რომ იმყოფებოდა ორთქლმავალზე. არ მიიღო ზომები სადგურზე მატარებლის გასაჩერებლად, რადგან მას [illegible]. მიმღები კონდუქტორის შალამაშვილს და უკანა ვაგონის კონდუქტორს ზეიდას არ შეუსრულებიათ თავიანთი პირდაპირი ვალდებულებანი: მათ არ დაუმუხრუჭებიათ ვაგონები და გაჩერების სიგნალი არ მიუციათ. ზაჰესის სადგურის მორიგე ებრალიძემ, როგორც მოწმენი ჩვენებენ, მატარებლები სადგურის ორივე მხრიდან ერთდროულად მიიღო.

მარცხში დამნაშავეების — **ნანობაშვილის**, **დართმელაძის**, **შენგელიას**, **შალამაშვილის**, **ზეიდას** და **ებრალიძის** საქმე ა.-კ. რკინის გზის უფროსმა ამხ. [illegible] გადასცა ტრანსპორტის პროკურატურას მათი სამართალში მისაცემად (ადა)

აგურის მექანიზებული ქარხანა სოხუმში. სურათზე: საუკეთესო, არაერთხელ დაჯილდოებული დამკვრელი ამხ. ნ. მიქავა, რომელიც სისტემატიურად 180—200 პროცენტით ასრულებს აგურების დაწყობის გეგმას.

* * *

ფიზკულტურა და სპორტი

ძალოსანთა შეკრება

24—25 თებერვალს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ძალოსანთა საპროფკავშირო შეკრება. ინდივიდუალური პირველობის გათამაშება მოხდება ფრანგულ ჭიდაობაში, კრივში და სიმძიმეების აწევაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ: ტფილისის, ბათუმის, სოხუმის და ქუთაისის პროფკავშირთა საუკეთესო ძალოსნები.

რაიონებიდან მოვლინებულ კოლექტივთა შემადგენლობაში შედიან ფურმანი, პაცრაძე, კონსტანტინიდი, პასიკოვი (ბათუმი), ცუხნიკასი, ანუფრიკოვი (სოხუმი) და ჯანაშია (ქუთაისი).

ტფილისის მხრიდან გამოდიან: ბ. კალაძე, ვოსტრიკოვი, კანდელაკი, ბაქრაძე, კვინიხიძე, ლუდუშაური, თიკანაძე, მარტიროსოვი.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა.

მთავარ მსაჯებად გამოყოფილი არიან: კრივში—თ. ფურცელაძე, ფრანგულ ჭიდაობაში—ირ. ყაჩელი, სიმძიმეების აწევაში—კ. ზაუტაშვილი.

შეჯიბრების შედეგად არჩეული იქნება საქართველოს პროფკავშირთა ნაკრები კოლექტივები ა.-კ. ძალოსანთა საპროფკავშირო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის ჩატარებაც გათვალისწინებულია მარტის პირველ რიცხვებში ერევანში.

სესხის მქონეთა და მეანაბარეთა დღე

ლენრაიონის შემნახველი სალარო სესხის მქონეთა და მეანაბარეთა დღის ჩატარებას აქტიურად შეუდგა. პირველ დღეს 15 თებერვალს სალარომ ბრიგადების მეშვეობით მასობრივად შეამოწმა ობლიგაციები მექანიკურ ქარხანაში და სამი საბინაო ამხანაგობის სახლებში. პლეხანოვის სახ. კლუბში სალარომ მოაწყო მუდმივი საცნობარო ბიურო, რომელიც სესხის მქონეთ და მეანაბარეთ შეუმოწმებს ობლიგაციებს და მისცემს ახსნა-განმარტებებს სესხისა და ანაბრების საკითხებზე.

17 თებერვალს ლენრაიონის საბჭოს დეპუტატთა ფართო თათბირზე სალარომ და [illegible] ობლიგაციების შემმოწმებელ ბიუროს საკითხი. დეპუტატებმა ვალდებულება იკისრეს აქტიურად დაეხმარონ სალაროს.

11 თებერვლისათვის ლენრაიონის შემნახველ სალაროს ანაბრების მოზიდვით კვარტალური გეგმა შესრულებული ჰქონდა 72,1 პროც., მასობრივ სესხების გეგმა - 45,2 პროც. და საბაზრო სესხების გეგმა —41,2 პროც.

არქეოლოგიური გათხრები აფხაზეთში

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სამეცნიერო აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება აწყობს კომპლექსურ ექსპედიციას აფხაზეთის არქეოლოგიურათ შესწავლისათვის.

ექსპედიციაში შევა 7 ცალკე რაზმი აკადემიკოს **ი. ი. მეშჩანინოვის** საერთო ხელმძღვანელობით. რაზმი საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგის პროფ. **გ. ნიორაძის** ხელმძღვანელობით და მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის წარმომადგენელ პროფ. **ხ. ზამიატინის** მონაწილეობით ჩაატარებს პირველყოფილ ადამიანის სადგომების გათხრას და შესწავლას აფხაზეთში.

არქეოლოგი **ანნა ამირანაშვილი** თავისი რაზმით მოახდენს ძველი რომაული ქალაქის გათხრას სოხუმის მახლობლად. ფეოდალური პერიოდის ქალაქების, ციხესიმაგრეების და ტაძრების გამოკვლევა დავალებული აქვს პროფ. **გ. ჩუბინაშვილის**, და პროფ. **შ. ამირანაშვილის** რაზმებს.

დამოლოს. პროფ. **კ. დონდუას** რაზმი შეისწავლის აფხაზეთის ეთნოგრაფიას და ტოპონიმიკას (ძველი გეოგრაფიული სახელწოდებები).

ექსპედიციის მუშაობა გასტანს ორ თვეს.

* * *

გასწორება

სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში, რომელიც „კომუნისტის" 20 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა, წესდების მესამე კარის მე-4 მუხლის მეოთხე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „განსაზოგადოებული მუშა - პირუტყვიდან არტელის გამგეობა. საჭიროების დროს რამდენიმე ცხენს ფასით აძლევს [illegible] არტელის წევრებს პირადი საჭიროებების მომსახურებისათვის".

პურის ცხობის ტექნიკის დაუფლებისათვის.

პურის ცხობის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებობს ტექნიკის დაუფლების საზოგადოება, რომელმაც საწარმოებში გაშალა მუშაობა ტექნიკის დაუფლების უჯრედების განსაკუთრებულად და ტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დასაყენებლად. № 1 პურის ქარხანაში ტექნიკის დაუფლების უჯრედში ითვლება 130 კაცი.

სურათზე: № 1 პურის ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი ამხ. ხვითაშვილი ატარებს მეცადინეობას პურის საცხობი ახალი მანქანის ათვისების მიზნით.

ხელფასის გადიდების შესახებ

განათლების სახალხო კომისრის ბრძანება № 112.

გამომცხვარი პურის, ფქვილის და იურღულის საბარათო სისტემის გაუქმების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 7 დეკემბრის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 9 თებერვლის დადგენილების შესასრულებლად ვბრძანებ:

1. 1935 წ. 1 იანვრიდან ჩატარდეს განსახკომის ცენტრალური აპარატის და სახალხო განათლების დაწესებულებების მასწავლებელთა და მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება: დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლებს, გამგეებს და დირექტორებს, საბავშო სახლების გამგეებს და აღმზრდელებს, ბიბლიოთეკის მუშაკებს, სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და აღმზრდელებს, მაღალი ტიპის სკოლის მასწავლებლებს, სკოლის გარეშე დაწესებულებათა მომუშავეებს, პოლიტგანმუშაკებს, თეატრებისა და სანახაობათა მუშებს და მათთან გათანასწორებულ მუშაკებს და აგრეთვე ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა გამგეებს, ხელმძღვანელებს, ტექნიკურ პერსონალს შემდეგი რაოდენობით (თვიურად მანეთობით).

მუშაკები, რომლებიც მარაგდებოდნენ:

	მუშებს და მათთან გათანასწორებულ ნორმით	მოსამსახურეებს
1-ლი სიით	13 მან.	9 მან.
მე-2 სიით	7 მან.	6 მან.
მე-3	6 მან.	5 მან.

შენიშვნა 1: დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლებს თვეში — 7 მან. 50 კაპ.

2. სტიპენდიანტები ღებულობენ მეორე სიის მიხედვით.

2. დაევალოს რაიონულ განათლების განყოფილებათა და ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებათა გამგეებს მათი პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ ხელფასზე დამატების გაცემა არა უგვიანეს თებერვლის დამლევისა.

3. მომუშავეებზე ხელფასის ცნობის მიცემის დროს აღინიშნოს მხოლოდ ძირითადი განაკვეთი იმ ანგარიშით, რომ დამატება არ იქნას მიღებული საბინაო გადასახადის, სამაიო შესატანის და სხვა გადასახადების გამოანგარიშების დროს.

4. შეთავსების შემთხვევაში ხელფასზე დამატება უნდა მიეცეს ძირითად სამუშაოს მიხედვით. კატეგორიულად აიკრძალოს ერთ და იმავე თანამშრომელზე ერთზე მეტი დამატების მიცემა.

განათლების სახალხო კომისარი **აკ. თათარიშვილი**.
1935 წ. 17 თებერვალი.

ჩელუსკინელი ოპერატორი ტფილისში.

19 თებერვალს ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი ოპერატორი „ჩელუსკინის" ექსპედიციის მონაწილე, ფილმი „ჩელუსკინის" ერთ-ერთი ავტორი ამხ. მარკ ტროიანოვსკი. სურათზე: ამხ. ტროიანოვსკი.

* * *

კინო

„მხიარული ახალგაზრდები"

როდესაც ამ ფილმის საზოგადოებრივი განხილვა მოხდა პარიზში, გაზეთები მას აღფრთოვანებით შეხვდნენ.

„უნდა ითქვას, — სწერდნენ ისინი — რომ ამ სურათით საბჭოთა კინემატოგრაფიამ დაამტკიცა, რომ შეუძლებელი მისთვის არაფერია. იციან საბჭოთა კავშირში სიცილი! ამას ამტკიცებს „მხიარული ახალგაზრდები"".

ამ ფილმს „მუსიკა შეჰყავს კინოში იმგვარად, თითქოს ახალ ჰორიზონტებს შლიდეს მის წინაშე. სურათი მაყურებელს იწვევს იმავე გრძნობებს, როგორსაც ის განიცდის დიდ კონცერტზე... ნამდვილი მხიარულება სუფევს ფილმის მთელს მანძილზე".

„ჯუმანიტემ" ახალი საბჭოთა ფილმი შეაფასა როგორც დიდი გამარჯვება: „ეს ნამდვილი ტიპია პოპულარული ფილმისა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით".

[illegible] აღფრთოვანებული შეფასება [illegible] „მხიარულ ახალგაზრდებს" საბჭოთა პრესამ.

[illegible] გ. ალექსანდროვის სურათის ასეთი წარმატების მიზეზი? „მხიარული ახალგაზრდების" მთავარი ღირსება იმ სიმხიარულესა, სიახალგაზრდავესა, სიხალისესა და [illegible]შია, რომელიც გამოსჭვივის მთელი სურათიდან. სიცილი მაყურებელთა დარბაზში იწყება პირველივე კადრიდან და არ სწყდება სანამ სინათლე არ აინთება.

ფილმის წარმატება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს კომიკურ ჟანრის ფრონტზეც. „მხიარული ახალგაზრდები" მუსიკალური კომედიის შექმნის პირველ ცდას წარმოადგენს და ეს ცდა ძირითადად გამარჯვებით დასრულდა. მოქმედება ვითარდება სწრაფად, ინტერესი სურათის გმირთა ბედისადმი თანდათან ძლიერდება. „მხიარული ახალგაზრდების" ღირსება იმაშიცაა, რომ მის მიერ გამოწვეული სიცილი არ არის უსაგნო. ფილმი მსუბუქი იუმორისტული ფორმით დასცინის ჩვენი ყოფაცხოვრების ზოგიერთ უარყოფით მხარეებს. ამ მხრივ ის პირდაპირ ხიშტში ურტყამს და ამხილებს, რომ დარბაზიც ასე ხშირად და ერთსულოვნად იცინის.

კიდევ უფრო დიდი იქნებოდა სურათის გამომეტყველება, რომ მთავარი სიუჟეტური ხაზი (მწყემსის და შინამოსამსახურე ქალის დამოკიდებულება) უფრო გამოკვეთილი და თანმიმდევარი იყოს.

ფილმის წარმატებას რეჟისორული მუშაობის მაღალი ხარისხის გარდა ხელს უწყობს მსახიობთა მთელი კოლექტივის მოხდენილი თამაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია **ლეონიდ უტიოსოვი**, შესანიშნავი საესტრადო მსახიობი, რომელმაც ნიჭიერ კინო-აქტიორად გამოამჟღავნა თავი ამ სურათში. არა ნაკლები ოსტატობით თამაშობს **ლ. ორლოვა** (მოსამსახურე ქალი).

ფრიად მაღალ დონეზე დგას ოპერატორის და კომპოზიტორის მუშაობა. ფოტოგრაფია და მუსიკა შესანიშნავია.

შ. ბ.

ქრონიკა

— [illegible] 21 თებერვალს 8-დან 16 საათამდე [illegible] რაიონში იწარმოებს ზარბაზნების სროლა.

— **24 თებერვალს** საღამოს 8 საათზე სტომატოლოგიური კლინიკის ათი წლისთავის აღსანიშნავად შესდგება სტომატოლოგიური სექციის მორიგი სხდომა (პლეხანოვის პროსპექტი № 126).

— **დღეს გამოვიდა** და ხელისმომწერლებს დაეგზავნა „ლიტერატურული გაზეთის" მორიგი (9) ნომერი. მორიგი მე-10 ნომერი გამოვა 6 მარტს.

— **23, 24 და 25 თებერვალს** ქუთაისის სახელმწიფო თეატრი დადგამს ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვას"—თარგმანი ალ. ბურთიკაშვილის, დადგმა რეჟისორ ვახტანგ აბაშიძის. გაფორმება პ. ოცხელის, მუსიკა ა. ბალანჩივაძის, მთავარ როლებს შეასრულებენ: მ. ქორელი, ხერ. ზაქარიაძე, დ. ჯალაღანია, კ. აბესაძე, ვ. ადამია.

ამხ. ა. გულოიანი სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

სომხეთის ს.ს.რ.-კის ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ამხ. ს. **ტერ გაბრიელიანის** თხოვნა სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სომხეთის ს.ს.რ.-კის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ს.ს.რ.-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. **აბრამ გულოიანი** (ადს).

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ამხ. გულოიანი დაიბადა 1893 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1905 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა და შევიდა ეჩმიაძინის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1911 წ. მუშაობდა სახალხო მასწავლებლად. 1913 წელს ამხ. გულოიანი გადმოვიდა ტფილისში. 1914 წლის დამდეგს შევიდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში და კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნა პარტიის ტფილისის კომიტეტის შემადგენლობაში. ტფილისში ამხ. გულოიანი აქტიურ მონაწილეობას იღებს არალეგალური სტამბის და ბოლშევიკური წრეების მოწყობაში. 1915 წელს ამხ. გულოიანი გადადის მოსკოვში და თებერვლის რევოლუციამდე სწავლობს შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტში. შემდეგ [illegible] ეკონომიურ ფაკულტეტზე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამხ. გულოიანი მიემგზავრება ბაქოში პარტიულ სამუშაოზე. შემდეგ მუშაობს პარტიულ სამუშაოზე წითელ არმიაში. 1920-22 წლებში ამხ. გულოიანი მუშაობს მოსკოვში საპასუხისმგებლო საბჭოთა სამუშაოზე. 1922 წელს შედის წითელი პროფესურის ინსტიტუტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1925 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობს შრომისა და თავდაცვის საბჭოში [illegible]. შემდეგ იგზავნება ტფილისში პარტიულ სამუშაოზე. 1927 წელს ამხ. გულოიანი ინიშნება ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორად. 1928 წელს ა.-კ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც მუშაობს 1930 წლამდე. 1930 წელს ამხ. გულოიანი ინიშნება [illegible] კომისიის თავმჯდომარედ. ბოლო შემდეგ სომხეთის მიწათმოქმედების სახ. კომისრად.

სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნამდე ამხ. გულოიანი იყო სომხეთის კ.პ.(ბ) ც. კ.-ის [illegible] განყოფილების გამგე და ც. კ.-ის ბიუროს წევრად.

ამხ. გულოიანი წევრია საკ. კ.პ.(ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, სომხეთის კ.პ.(ბ) ც. კ.-ის, ა.-კ. ცაკის და სომხეთის ცაკის. საბჭოების მე-7 სრულიად საკავშირო ყრილობაზე არჩეულ იქნა ს. ს. რ. კ.-ის ცაკის წევრად და ს. ს. რ. კ.-ის ცაკის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად (ადს).

„კომუნისტის" ესკადრილია ერევანში

(ჩ. საკ. კორესპონდენტისაგან)

19 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათისათვის, ერევნის აეროდრომზე დანიშნული იყო „კომუნისტის" ესკადრილიის ჩამოფრენის აღსანიშნავი საავიაციო ზეიმი. დილის მზიანი ამინდი ჩქარა შეიცვალა, წამოვიდა წვიმა და აეროდრომი ისე ატალახდა, რომ შეუძლებელი ხდებოდა თვითმფრინავების ამოძრავება. სამუშაო დღის დამთავრებისთანავე ქალაქიდან აეროდრომისაკენ დაიძრა ერევნის ფაბრიკა-ქარხნების მუშები. მიდიოდნენ დროშებით, ორკესტრებით და პლაკატებით:—„მივესალმოთ „კომუნისტის" მკითხველებს, [illegible] „ხორურდაინ ჰაისტანის" ესკადრილიას". [illegible] საჰაერო [illegible] გზის წინა მოედანი აივსო ქალაქიდან მოსული მუშა-მოსამსახურეებით.

მიტინგი გახსნა სომხეთის კომპარტიის (ბ) ერევნის კომიტეტის მდივანმა — ამხ. **ანესოგლიანმა**. ილაპარაკეს ერევნის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა წარმომადგენლებმა. ისინი მიესალმნენ „კომუნისტის" ესკადრილიის ჩასვლას, აღნიშნეს ამ გადაფრენის მნიშვნელობა მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების საქმეში და დასდეს სიტყვა, რომ ჩქარა ისინიც დაამთავრებენ საკუთარი ესკადრილიის „ხორურდაინ ჰაისტანის" აგებას.

„კომუნისტის" რედაქციისა და გადამფრენის მონაწილეთა სახელით მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ს. [illegible]ლიშვილი.

20 თებერვალს დილით, სანამ მოყინულ აეროდრომზე ტალახი არ [illegible], „კომუნისტის" თვითმფრინავები ავიდნენ ჰაერში. თვითმფრინავებმა რამდენიმე გამოსამშვიდობებელი წრე გააკეთეს ერევნის თავზე. გადავყარეთ ერევანში დაბეჭდილი „ხორურდაინ ჰაისტანის" ფურცლები და გამოვსწიეთ ტფილისაკენ. [illegible] შედარებით კარგ ამინდში მოგვიხდა ფრენა. დილის 11 საათზე თვითმფრინავები უკვე ტფილისში იყვნენ.

გამოვიდა და იყიდე გა ჟურნალი
„ბოლშევიკი" № 1
შინაარსი:
1 საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ისაგან—ვ. ვ. კუიბიშევის გარდაცვალების შესახებ
2 ფ. მახარაძე—[illegible]
3. ვ. ბაქრაძე—პარტიულ ხელმძღვანელობითი მუშაობის შესახებ [illegible]
4. ა. კეკელია—1934 [illegible] წლის [illegible]—ჩვენი წარმატებები [illegible]
5. ა. ზაუტაშვილი, ევგ. დარინი, გრ. წერეთელი—[illegible]
6. ი. ვაშაკიძე—[illegible]
რაიონული კრება
7. რაიონული გაზეთების მიმოხილვა.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
დღეს 3 აპრ. 8 წარ	22 თებერვალს მე-7 აპ. 8 წარ	23 თებერვალს 9 აპრ. 9 წარ
ცოდვილი	ტრავიატა	ტოსკა
[illegible] დაიწყო ბილეთების წინასწარი გაყიდვა
სალარო ღიაა დილით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს.
დასაწყისი საღამოს 8 ს.

21 თებერვალს 5 აპრ. 6 წარ	22 თებერვალს 6 აპრ. 6 წარ	23 თებერვალს 7 აპ. 6 წარ
განგაში	შლეგი	შლეგი
[illegible] სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი
21 თებერვ. ურიელ აკოსტა
22 თებერვ. ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ!
23 თებერვ. მზის დაბნელება საქ.
სალარო ღიაა 11-2 და 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 5-30. 7-20 9-10. 11 — მხიარული ბიჭები
დამკვრელი 6-30 8-30. 10-30 — ზღვის ძორი
ფიქსი 6-30. 8. 9-30 11 — მეშვიდე თანამგზავრი
რ. ლუქსემბურგის სახ. — ოქროს მთები
„26"-ის კომ. სახ. 6-30. 8-30. 10-30 — სპარტაკი

სტამბა „კომუნისტს" ესაჭიროება მოწაფეები
პირობების გაგება მსურველებს შეუძლიათ სტამბის ადმინისტრაციასთან კამოს ქუჩა № 68.
სტამბას აქვს საუკეთესო სახადილო, მოწაფეებს ხელი ეძლევა შეღავათიან ფასებში.
მოწაფეებათ მიიღებიან, როგორც ვაჟები ისე ქალები, 17 წლის ასაკიდან.
სტამბა „კომუნისტის" ადმინისტრაცია.

საქ. დატვირთვა-გადმოტვირთვის მუშების საურთიერთო ლიკვიდკომი აცხადებს,
რომ ... მეორე წლის გათამაშების სესხის ობლიგაციების [illegible] 21 თებერვლიდან [illegible] დილის 4 საათიდან 7 საათამდე [illegible] № 19.
6850 ლიკვიდკომი.

ექიმი მ. ბ. [illegible] ... შვ. ხევი № 10 ... 5—8 ს. საღ. ტელ. № 3-44-16 3—1 6844

[illegible] კოსმეტიკა ექიმ ნ. გ. კანთარიშვილისა ... 3—1 6[illegible]8

უახლოესი მეგობრები: შალვა მაისურაძე, მიხეილ ბახეიშვილი, გრიშა კახკავა, [illegible], ფატუ ლაბაძე, შალვა ხუხუნაძე, ბეჟან შარაშიძე და ევგენი [illegible] იუწყებიან ექიმ დანიელ ივანეს-ძე ოდიშარიას გარდაცვალებას. 6949

მეუღლე დარო, შვილი თინა ინასარიძისა, ექიმი ლევან ინასარიძე პატარა რეზოთი იუწყებიან ალექსანდრე დიმიტრის-ძე ქებაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23 თებერვალს 5 საათზე. 6851

კოლია ნიკოლოზის-ძე ზარანდია იუწყება აღმზრდელი მამიდას ელენე გურკოვის ასულ ზარანდიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 თებერვალს. 6858

ცოლი კეკე, შვილები: ვანო, ალექსანდრე, ვლადიმერი, ელენე და ფაიკა იუწყებიან მეუღლისა და მამის ილარიონ ზაქარიას-ძე ლეჟავას გარდაცვალებას. გამოსვენება 22 თებერვალს 5 ს. რკ. გზის საავადმყოფოდან 6855

ლიზიკო და შალვა შვილებით: დუდუნა და მარგალიტა ურუშაძეები, ანეტა და ილია შვილებით, მერი და მადონა ხუბუტიები იუწყებიან, მამის, სიმამრის და ბაბუას ირაკლი ხომერიკის გარდაცვალებას. 6832

ლარა და გოგი ხომერიკები პატარა ნელით იუწყებიან მამის ირაკლი ხომერიკის გარდაცვალებას. 6832

მამიდები: ნინა, ანიჩკა, ბიძები: ნესტორ ჩიქელაძე და კირილე თელია შვილებით იუწყებიან პატარა მედეა რაზმაძის გარდაცვალებას. 6828

მშობლები: ქრისტინე, სოლომონი, ძმები გაიოზი [illegible], პავლუშა და ჰაჰულა, დები: მარუსია, ქსენია და ქეტო ქმარშვილით, რძალი ანიჩკა შვილებით იუწყებიან, რომ 23 თებერვალს ვერის სასაფლაოზე დანიშნულია მე-6 ქართულ მსროლელ ლეგიონის სამხედრო კომისრის შალვა სოლომონის-ძე დევდარიანის ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი. 6852

[illegible], ანასტასია, ბებია [illegible], ძმები: მიშა კორნელი და ვენია შვილებით იუწყებიან, რომ 24 თებერვალს 2 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი პიმასა(?) ჭიროქის ხსოვნის აღსანიშნავად. 6848

სადგურ ტფილისის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ძველი რკინისგზელის, მთავარი კონდუქტორის ალექსანდრე ბელიაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. საბჭოს ქ. № 97. 6838

შვილები: ნელი, გოგი ქუთათელაძეები, [illegible] დარეჯანი ქმრით კოკი შენგელაია, გოგოლა, ნინო, თამარა, დათიკო ნაკაშიძეები იუწყებიან ლოლა ნაკაშიძე—ქუთათელაძის გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან. დაკრძალვა დღეს ვერის სასაფლაოზე 4 ს. 5847

წითელი ჯვრის ცეკას მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თანამშრომლის სერაპიონ ჩანტლაძის მამის კონსტანტინე ივანეს-ძე ჩანტლაძის გარდაცვალებას. 6856

[illegible]: ალექსანდრე მაისაშვილი [illegible] და თამარა ქმარშვილით იუწყებიან ბიძაშვილის ალექსანდრე რაფ.-ძე ბილიაშვილის გარდაცვალებას. 6840

საქართველოს კუროროლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან კურორტ ბორჯომის ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დირექტორის ექიმ დანიელ ივანეს-ძე ოდიშარიას გარდაცვალებას. 6854

მამიდები: მაშო კანდელაკისა და ოლღა რაზმაძე-ნადარეიშვილისა ქმრით და შვილებით, იუწყებიან პატარა მედეიას უდროოდ დაკარგვას.

მისამართები. რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3 06—88, პარტიული განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27 04, გამომცემლობის 5 51—81 ხელნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

მთავლიტის რწმუნებული ა—9364